# საერთო გაზეთი

№41 (548) • 11 დეკემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


# ქართული პოლიტიკური მაფია რუსული აქცენტით

**საქართველომ 30 წელია ვერ მოიშორა რუსული წარმოშობის ეს პოლიტიკური მაფია, ყოფილი კომუნისტებით და კომკავშირლებით, კგბ-ს შტატიანი თანამშრომლებით დაკომპლექტებული ბანდა, კრიმინალური სინდიკატი...**

ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფიგურის, ნინო ბურჯანაძის, მოსკოვში გამგზავრებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ის, რაც საქართველოში 20 ივნისის შემდეგ ხდება, თავიდან ბოლომდე რუსული სცენარია.

ეს ვითომ პროდასავლური







ორიენტაციის, ეს ვითომ დემოკრატიისთვის და თავისუფლებისთვის მებრძოლი პოლიტიკოსები, რუსეთს და პუტინს რომ დედას აგინებენ, სინამდვილეში რუსული აგენტურაა და რუსეთის ხელისუფლებასთან სინქრონში მუშაობენ.

ეს ეჭვი მხოლოდ ბურჯანაძის მოსკოვში გამგზავრების შემდეგ არ გამჩენია — ეს ეჭვი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მომდევს როგორც, საშინელი, კოშმარული სიზმარი, რომელიც ყოველღამე მეორდება და იმდენად შეზრდილია ჩემს ყოველდღიურ ყოფასთან, რომ კარგა ხანია სიზმარი აღარ არის, რეალობა, ოღონდ სიზმრის ფორმა აქვს.

მახსენდება, დემოკრატიის სახელით, დასავლური ღირებულებების სახელით, როგორ ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას, როგორ ეძახდნენ ჩაუშესკუს, დიქტატორს, უზურპატორს, დემოკრატიისთვის მებრძოლი ქართველები და გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევების შემდეგ როგორ ჩამოიყვანეს რუსეთიდან „დემოკრატი“ შევარდნაძე.

არა საფრანგეთიდან, არა გერმანიიდან, არა ინგლისიდან, არა ვაშინგტონიდან, არამედ რუსეთიდან ჩამოიყვანეს იმ ძალებმა, რომლებიც ვითომ საქართველოს ოკუპანტი რუსეთისგან გასანთავისუფლებლად იკლავდნენ თავს.

განსაკუთრებით გასაკვირი და გასაოცარი ის იყო, რომ ის ადამიანები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ ამ რუსულ-ქართული ომის დამთავრების შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად რუსეთში

**სამწუხაროდ, მე და ჩემს თაობას დიდი დრო უკვე არ გვაქვს, ამიტომ ახლავე, ხმამაღლა და გარკვევით უნდა ვუთხრათ ამ ავაზაკებს:**

**პაშლი ვი ნა ხ.ი, მერზავცი!**

აღმოჩნდნენ და რუსეთმა თავისი გუშინდელი მტრები სიყვარულით ჩაიხუტა გულში, თავშესაფარი მისცა, ბიზნესის კეთების საშუალება მისცა.

მარტო კიტოვანის მაგალითი რად ღირს, თუმცა მხოლოდ ერთი კიტოვანი კი არა ათასობით სხვა „კიტოვანი“ შეიფარა და შეივრდომა გულჩვილმა და გულმოწყალე „დერჟავამ“.

ბარტერული გაცვლა მოხდა — შევარდნაძე რუსეთიდან ჩამოვიდა, ესენი რუსეთში წავიდნენ.

წავიდნენ და დღემდე იქ არიან და მშვენივრად გრძნობენ თავს.

რამდენადაც ცნობილია, ნაწილი ამ ადამიანებისა, კარგა ხანს „კგბ“-ს კორპუსებში ცხოვრობდნენ, სანამ ფეხს მოიდგამდნენ და ცხოვრებას აიწყობდნენ.

რუსეთიდან საქართველოს საშველად და დასახსნელად ჩამოყვანილმა შევარდნაძემ, ცხადია, ყველა ნანინანატრი ოცნება შეუსრულა რუსებს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ბეიკერის მეგობარი ვარ, გენშერის მეგობარი ვარ, ბუშის მეგობარი ვარ, კოლის მეგობარი ვარო — ეძახა.

გასაკვირი ის არის, ისინიც რომ ემეგობრებოდნენ და ეძმაკაცობდნენ ამ წმინდაწყლის რუსული პოლიტიკის პროდუქტს.

ხანდახან ვფიქრობ: რუსეთის აგენტურული ქსელი დაწყებით რუსეთში კი იწყება, მაგრამ სად მთავრდება იგი? იქნებ არსადაც არ მთავრდება და მთელი დედამიწა ფოლადის ძაფებით ნაქსოვი მისი აბლაბუდით არის შეკრული და დაბლანდული.

არის ასეთი პარტია — „**ევროპის სახალხო პარტია**“, მთელ ევროკავშირში ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი პარტია.

გაგიკვირდებათ და ეს პარტია კრიზისულ სიტუაციებში ისეთ „პადდერჟკას“ უკეთებს რუსეთს, „ედინნაია როსიას“ ფილიალი გეგონება.

კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, რომ ეს „ევროპის სახალხო პარტია“ ნაცმოძრაობის პარტნიორი პარტიაა და მის კულისებში ისე დაშლიგინობენ ნაციონალები, თითქოს თავიანთ მშობლიურ ოფისში იყვნენ.

**სად, ევროპის სახალხო პარტია, სად რუსეთი, სად ნაცმოძრაობა? რატომ იკვრება ასე კოხტად და ლამაზად ეს სამკუთხედი, როცა სიგრძესიგანით სამკუთხედის სამივე გვერდი სხვადასხვაა?**

ერთ უცნაურ დეტალს გავიხსენებ, რომელიც დღეს ბევრს მიავიწყდა: — ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე უკრაინიდან მომავალი მიშა გზად მოსკოვში შეჩერდა და წითელი მოედნიდან გააკეთა მიმართვა მხარდამჭერებისადმი, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ წინამძღოლის ბრძანებას.

ეს იყო ვიდეო მესიჯი, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებდა, რომ მოსკოვი მხარს უჭერდა საქართველოში აზვირთებულ „საპროტესტო ტალღას“ და „დაბროს“ აძლევდა შევარდნაძის ტახტიდან ჩამოგდებას.

რუსეთი რომ „ვარდების რევოლუციის“ ინკოგნიტო ავტორობისგან შორს არ იდგა, ეს იმითაც დადასტურდა, რომ მოსკოვმა რევოლუციის შედეგების ანგარიშის მისაღებად საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი მოავლინა თბილისშ, რომელმაც რეფერივით მარჯვენა აუწია გამარჯვებულ სააკაშვილს, შემდეგ კი ბათუმში გაფრინდა და ასლან აბაშიძე თან წაიყოლა.

მართალია, სააკაშვილი კი ბაქიბუქობს, ასლან აბაშიძე მე გავაქციე საქართველოდანო, მაგრამ ტყუილია ეს — აბაშიძე რუსებმა წაიყვანეს.

2003 წლის შემოდგომაზე, ფაქტობრივად, როტაცია მოხდა — რუსებმა ძველი, უკვე დაღლილი და გაცვეთილი კადრები ახალი კადრებით ჩაანაცვლეს.




3 გვ. →

# მეორე ადამიანს მონას მხოლოდ ის დაუძახებს, ვინც თვითონ არის მონა...

**მაჟორიტარი დეპუტატების პროტესტის, საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებულ ბატალიებისა და არჩევნების გერმანულ მოდელის შესახებ მოსაზრების გაზიარება უმრავლესობის წევრს ენძელა მაჭავარიანს ვთხოვეთ:**

— დავიწყებ იმით, რომ არც სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას ვეთანხმები და არც სრული პროპორციული სისტემა მომწონს. ჩემი აზრით, ჯერჯერობით პარტიები და საზოგადოება არ არიან მზად იმისთვის, რომ პროპორციულ არჩევნებზე გადავიდეთ. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ დღეისთვის ყველაზე შესაფერისია შერეული სისტემა, რომელიც ამჟამად გვაქვს და ამ პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებ, რაც დღის წესრიგში პროპორციულ სისტემაზე გადასვლა დადგა. 2018 წელსაც, როდესაც კონსტიტუციას ვიღებდით და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ვგეგმავდით, ჩემი პოზიცია იყო, რომ ჩვენნაირი, ფედერალურ პრინციპებზე აწყობილ ქვეყანას ორივე სისტემა უნდა ჰქონდეს, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული.

**— თუმცა, ამ პოზიციის მიუხედავად, პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი დაუჭირეთ.**

— იმიტომ, რომ ეს იყო საზოგადოების მოთხოვნა, გუნდისა და ჩვენი ლიდერის დაპირება და გამოწვევა მივიღე. მე და ვიქტორ ჯაფარიძე ყველაზე ბოლოს დავეთანხმეთ 2024 წლიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში კონსენსუსი და კომპრომისებზე წასვლა ძალიან დიდი ხელოვნებაა და ამის გაკეთება საჭიროა. კომპრომისამდე უნდა მივიდეთ ახლაც, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ დარჩა დაპირისპირების რესურსი. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის უმრავლესობამ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა, ის მაინც არ გავიდა და მე და ბევრი ჩემი თანაგუნდელი გაწბილებული დავრჩით.

**— თუ ასეა, რატომ არ დატოვეთ მმართველი გუნდი, როგორც ზოგიერთმა გაწბილებულმა კოლეგამ?**

— რატომ უნდა დამეტოვებინა? ჩემს პოზიციას იზიარებდა უმრავლესობის უმრავლესობა, პარტიის თავმჯდომარე და ამასთანავე, მიმაჩნია, რომ გუნდის შიგნით პრობლემის გამოსწორებისთვის ბრძოლა ყოველთვის ჯობს პრობლემისგან გაქცევას. რატომ ვართ პოლიტიკაში და რატომ ვიკავებთ საპასუხისმგებლო თანამდებობებს თუ პირველივე წინააღმდეგობაზე გავიქცევით? ყველაფრის მიუხედავად, მე არც ვამართლებ და არც ვსაყვედურობ იმ ადამიანებს, რომლებმაც გუნდი დატოვეს და ვფიქრობ, რომ ეს იყო ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება. რაც შეეხება დღევანდელ პოზიციას, ჩვენ არ დაგვრჩა რესურსი ახალი საკონსტიტუციო გადაწყვეტილების მისაღებად. რას გვიკიჟინებს ოპოზიცია და რისკენ მოგვიწოდებს? ჩვენმა ლიდერმა იძალადოს იმ მაჟორიტარ დეპუტატებზე, რომლებსაც პროპორციული არჩევნები არ უნდათ და ხელები გადავუგრიხოთ თუ რა ვქნათ?

**— კი, მაგრამ გამოსავალი ხომ უნდა არსებობდეს? პროცესები ქუჩაში უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.**

— ოპოზიციას უფლება აქვს მოითხოვოს, მაგრამ გვითხრას რის ფასად? რა გავაკეთოთ? მე მათი მოთხოვნის შესრულების რესურსს ვერ ვხედავ და მიმაჩნია, რომ ეს მოთხოვნა უკვე დილემაც აღარ არის. რაც შეეხება ქუჩის ეს მოთხოვნა დილემაა. რაც შეეხება ქუჩის აქციებს და მონების ძახილს, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველა საკუთარი გადმოსახედიდან მსჯელობს. თვითონ არიან მიჩვეული მონობას და სააკაშვილის დირექტივებს და სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ. კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ აზრს გამოთქვამს, მაგრამ არასოდეს იკადრებს, რომ ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს ან სხვას დირექტივები მისცეს და რაღაცის რაღაცის გაკეთება დაავალოს. ამას არც საკუთარ თავს აკადრებს და არც სხვას და ვინც ივანიშვილს იცნობს, აუცილებლად დამეთანხმება. ეს არის განსხვავება ჩვენს გუნდსა და მათ შორის და მათ მმართველობას შორის.

**— როგორც ბრძანეთ, საზოგადოება და პარტიები პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლისთვის მზად არ არიან. თქვენი აზრით, 2020 წელს ასეთი სისტემის ამოქმედებას რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს?**



— მარტივად რომ ვთქვათ, მაგალითად, შეიძლება ვერ დაკომპლექტდეს მთავრობა და შეიქმნას კრიზისი. ესეც რომ არ იყოს, კონსტიტუციიით ხომ მაქვს უფლება, რომ საკანონმდებლო ორგანოში არჩეული ვიყო?არადა, თუ პარტიის წევრი არ ვარ, პროპორციული სისტემა ამ უფლებას მიზღუდავს. რომელიმე პარტიის წევრი თუ არ იქნება მასთან აფელირებული პირი, საინიციატივო ჯგუფი უბრალოდ, ვეღარ დაარეგისტრირებს, ამიტომ 2024 წლიდან დეპუტატი რომ გახდე, აუცილებლად მიკედლებული უნდა იყო რომელიმე პარტიასთან. ამაზე მედავებოდნენ, თუ პარტიის წევრი არ ხარ, პოლიტიკაში დაპარლამენტში რა გინდაო, მე კი ასე არ ვფიქრობ. მახსოვს შემთხვევები, როცა უპარტიო დეპუტატები ხშირად ძალიან კარგად და შედეგიანად მუშაობდნენ საკანონმდებლო ორგანოში. ძალიან ბევრი მაჟორიტარისთვის მაჟორიტარული არჩევნები ერთადერთი გზაა პოლიტიკაში მოსასვლელად. გაგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილმა მუხრან მაჭავარიანის ეზოში შეხვედრის დროს განაცხადა – მე მინდა ხალხის წინაშე ვიყო ანგარიშვალდებული და არა პარტიის წინაშეო. თუ სააკაშვილს შეუძლია ჰქონდეს ასეთი სურვილი, რატომ არ შეიძლება, რომ დიმიტრი ხუნდაძეს, კახა ოქრიაშვილს, მავანს და მავანსაც უნდოდეს, რომ ხალხის ნებით მოვიდეს პარლამენტში?

**— რას ფიქრობთ არჩევნების გერმანულ მოდელზე, რომლის მოდიფიცირება 30-მდე ოპოზიციურმა პარტიამ მოახდინა?**

— გერმანული მოდელი თავისი შინაარსით, იგივე პროპორციულია და იგივე პრობლემები ახლავს, რომელთა გამოც პროპორციულს არ ვუჭერ მხარს. თქვენ იცით, რამდენი თვე ვერ კომპლექტდება ხოლმე გერმანიაში მთავრობა. მიმდინარე არჩევნების შემდეგ თუ არ ვცდები, 7–8 თვე ვერ დაკომპლექტდა და საქართველოშიც ეს პრობლემა გვინდა? გერმანული მოდელი უკვე გერმანიისთვისაც პრობლემაა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავადაც ცდილობენ სხვა მოდელზე გადავიდნენ და ჩვენ რატომ მივდივართ აქეთ, ვერ გამიგია. დღეს ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და ჩვენ გვეკისრება სტაბილურობის შენარჩინების ვალდებულება მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები პრორუსულობას გვიკიჟინებენ და შემდეგ ბიძინა ივანიშვილისთვის ნაყიდი ბილეთებით მოსკოვში თავად მიდიან.

**— თქვენი აზრით შემთხვევითია, რომ ყოველი არეულობის დროს ოპოზიცია რუსეთში დესპანს აფრენს?**

— შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს, რომ ყველამ ვნახეთ როგორ მოიყვანა რუსეთმა და თავად ივანოვმა დაგვისვა ხელისუფლებაში „რევოლუციური ტროიკა“ და მათ შორის იყო ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი. ოპოზიციის მოსკოვში ვიზიტები შეიძლება გაუკვირდეს ადამიანს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიბადა, მაგრამ ჩვენ ხომ ეს ჩვენი თვალით ვნახეთ და ვიცით, რომ ესენი პრორუსულ ძალას წარმოადგენენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი არც ტოლერანტები არიან, არც დემოკრატები და მათი შეხედულებები და მენტალობა ძალიან შორს არის ევროპულისგან, ისინი მე ადრეული ხანის სოციალისტებს მაგონებენ, რადგან რაც თავად აძლევთ ხელს, მხოლოდ იმას აღიარებენ სიმართლედ..ქალბატონი ბურჯანაძე ბევრთან შედარებით უფრო ღირსეულად გამოიყურება, რადგან რასაც აკეთებს, ამბობს და ესენი რუსეთს თან ლანძღავენ და თან რუსეთის საქმეს აკეთებენ. წარმოიდგინეთ, 2008 წლის 7 აგვისტოს შემდეგ, 2 თვეში მიიღეს რეზოლუცია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ქართული მხარის მიერ გაუფრთხილებელი დაბომბვის გამო ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია მოხდა და ამაზე უარესი, რომ რუსეთის მოქმედება საპასუხო გახლდათ და ამ რეზოლუციაზე ჩვენს ოპონენტებს ხელი აქვთ მოწერილი. ეს არ არის რუსეთის საქმის კეთება? გაოგნებული ვარ, როდესაც ოკუპაციის ავტორები დეოკუპაციის საკითხებზე პრეტენზიებით ჩვენთან მოდიან.

**— მიხეილ სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ ბოლო ვიდეოჩართვაში განაცხადა, რომ საქართველოში მოსახლეობის 60%-ზე მეტი უჭერს მხარს და გამარჯვებაში სრულიად დარწმუნებულია.**

— ჩემთვის მიხეილ სააკაშვილი სარწმუნო ადამიანს არასოდეს წარმოადგენდა და ყოველთვის ვიზიარებდი მასზე თემურ მირიანაშვილის აზრს. ბევრს შეიძლება დაავიწყდა, მაგრამ მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს.

**— სამაგიეროდ, არ ახსოვს რუსთაველზე, ოპოზიციის გვერდით მდგარ ახალგაზრდობას.**

—არც მე მახსოვს და მინახავს მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ ფაშიზმს არასოდეს დავუჭერ მხარს. დღეს ინფორმაციის მიღების ისეთი მეთოდებია, რომ არაფერი იმალება და ძალიან ადვილია ყველაფრის გაგება. რა არ უნახავთ, ციხიდან გამოსული სულხან მოლაშვილი არ უნახავთ თუ ციხიდან გამოსული გიგი უგულავა? ამ ორ ადამიანს შორის შედარების გაკეთება არ შეუძლიათ? უგულავა კაი ნაპატივები რომ გამოვიდა ციხიდან და „ნანუკას შოუში“ რომ ამბობდა, ყოველ დღესასწაულზე გოჭი შემოდიოდაო, არ გაუგიათ? თუ ის არ იციან, რომ სულხან მოლაშვილი ციხიდან ლანდად ქცეული გამოვიდა და მალევე გარდაიცვალა? ვისაც არ უნდა, არ დაინახავს, თორემ ფაქტები სახეზეა. სულხან მოლაშვილის შვილებზე ვინმე ფიქრობს? თეთრაძის შვილებზე ვინმე ფიქრობს? ასე, რომ ჩვენ უკვე ვნახეთ ეს ხალხი სახელმწიფოს როგორი დიქტატორული მეთოდებით მართავდა, ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის ოცნებებს დაბრუნებაზე ასრულება არ უწერია.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაპალ-დასაპალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

# ქართული პოლიტიკური მაფია რუსული აქცენტით

1 გვ.

საკაშვილმა რუსების იმედები ნამდვილად გაამართლა და რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი გაუკეთა რუსებს, ბოლოს კი 2008 წლის აგვისტოს ომით დააგვირგვინა და აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ხონჩით მიართვა.

**ომის კი არა ამ სისხლიანი სავაჭრო-კომერციული გარიგების ერთ-ერთი მთავარი ბროკერი ბოკერია დღეს ანტისაოკუპაციო აქციებს ხელმძღვანელობს და იმ ახალგაზრდებს აბრიყვებს, რომლებმაც არაფერი იციან იმ შემზარავი ღალატის და დანაშაულის შესახებ, რომლებიც სააკაშვილებს, ბოკერიებს და სხვა ნაციონალებს აქვთ ჩადენილი საქართველოს წინაშე.**

ამ ახალგაზრდებმა რომ არ იცოდნენ, რა გასაკვირია — გაზეთებს ესენი არ კითხულობენ, ტელევიზიებს ესენი არ უყურებენ და მაქარაშვილ-გაგარინის საველე სემინარებზე აბა რა უნდა გაიგონ?

ასე რომ ამ ახალგაზრდებმა ბევრი არაფერი რომ არ იციან, ცხადია, მაგრამ ხომ დეტალურად, მისხალ-მისხალ იციან ყველაფერი ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა — ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, აშშ და ა.შ.

იციან და მაინც არც აღშფოთებით, არც უკვირთ, არც პროტესტის გრძნობა უჩნდებათ ეს თავისი სამშობლოს ბარიგობით გამდიდრებულ-გაყოყოჩებული კრიმინალები პოლიტიკოსობას რომ ჩემულობენ და ისევ უკან ხელისუფლებაში რომ აპირებენ მობრუნებას.

არ გაკვირვებია მათი ნახვა ოპოზიციის და ქართული ოცნების შეხვედრაზე **კარლ ჰარცერს**, ევროკავშირის ელჩს საქართველოში და არ უთქვამს: ამათ აქ რა უნდათ, ამათთან რა დიალოგი უნდა გაიმართოსო.

კარლ ჰარცერს კი არა არავის არაფერი არ უთქვამს და არავის არ შეუფასებია ობიექტურად და მიუკერძოებლად უბედურებათა ის კასკადი, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე დემოკრატიის, გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებათა სახელით ხდებოდა საქართველოში.

არავის არ გაუანალიზებია, არავის არ შეუსწავლია სინამდვილეში რას წარმოადგენდნენ და რას აკეთებდნენ ეს ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები.

პროდასავლურობა იქცა იარლიყად, სპეკულაციის საგნად, წარმატების და ხელშეუხებლობის ფირმანად, რომელსაც ათასი ჯურის არამზადა ცხვირწინ უფრიალებს საქართველოს.

**პროდასავლურობის იარლიყმიწებებულმა რუსულმა აგენტურამ შიგნიდან გამოხრა და გამოფიტა საქართველო.**

**პროდასავლურობის ნიღაბს ამოფარებულნი ისინი აშანტაჟებენ ქართველ ხალხს, აშანტაჟებენ პოლიტიკურ ოპონენტებს და იმ სახელს უწოდებენ მათ, რაც თვითონ არიან, დასავლეთი კი დუმს და შორიდან უყურებს ამ ტრაგიკომედიას.**

დასავლეთი სათანადოდ ვერ რეაგირებს და ადექვატურ შეფასებებს ვერ აკეთებს იმ ფაქტზე, რომ სწორედ მათ, ამ ფსევდოდემოკრატებმა, ამ ფსევდომედასავლეთეებმა, თავიანთი მიზანმიმართული მავნებლური საქმიანობით აშშ-ც შეაძულეს ქართველ ხალხს, ევროპაც და იძულებული გახადეს ისევ რუსეთისკენ გაეხედა და ისევ იქ ეძებნა ხსნა და საშველი.

ნაცმოძრაობის და მისი განშტოებების ნაავკაცარი იმდენად ღიაა, რომ მათი აგენტურულ-რეზიდენტული საქმიანობის დასამტკიცებლად დიდი გამოძიება და გამოკვლევა სულაც არ არის აუცილებელი — ყველაფერი სახეზეა, ყველაფერი ზედაპირზე დევს, მაგრამ დასავლეთი მაინც დუმს და კომენტარს არ აკეთებს.

რუსეთთან ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დასავლეთს ისეთი რა სარგებელი აქვს ამათგან, რომ ამ აშკარად პრორუსულ ძალას ხშირად პროდასავლურს უწოდებს და დემოკრატიის პლაცდარმად მიიჩნევს, ხოლო სააკაშვილს ამ თეთრკანიან იდი ამინს, „დემოკრატიის შუქურას" ეძახის?

სპეცსამსახურების სასტიკი და გააფთრებული ომია ეს ომი, რომელშიც ყველაზე მეტად საქართველო ზარალდება და იჭყლიტება, როგორც ამ ომის ასპარეზი და საბრძოლო ველი.

●

შენიღბვის და კონსპირაციის საუკეთესო საშუალებაა სხვას დაუძახო ის, რაც შენ თვითონ ხარ, სხვას გადააბრალო და სხვა „ამხილო" იმაში, რასაც შენ თვითონ აკეთებ.

ეს ხერხი შესანიშნავად აქვთ ათვისებული ნაცმოძრაობას და მის განაყოფებს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს „რუსულ პროექტს", „რუსეთის კაცს" უწოდებენ, რომელიც თურმე საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ცდილობს.



აი, ამას ამბობს „ნაცმოძრაობა", რომელმაც, როგორც ვთქვით, ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში ქართული ეკონომიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბერკეტი რუსებს ჩაუგდო ხელში, ბოლოს კი საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტიც უფეშქაშა.

მოდით, გავყვეთ „ნაცმოძრაობის" მიერ შემოთავაზებულ რიტორიკას და ერთი წუთით ვირწმუნოთ (დავიჯეროთ) რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც რუსული პროექტია და რუსეთის კაცია.

ახლა ის გავიხსენოთ რამდენი მილიარდი აქვს დახარჯული და რა დიდებული საქმეები აქვს გაკეთებული ამ „რუსეთის კაცს" საქართველოსთვის.

**ამ ლოგიკის მიხედვით, რუსეთი „თავის კაცს", თავის „პროექტს" რომელსაც დიდი ფული აშოვნინა რუსეთში, ავალებდა და ავალდებულებდა: ეს ფული (მილიარდები) საქართველოს კეთილდღეობას უნდა მოახმაროო.**

— გამოდის, რომ რუსეთი საქართველოს მტერი და ოკუპანტი კი არა გულმხურვალე მეგობარი და ჭირისუფალი ყოფილა.

აი, ამის თქმა გინდათ თქვენ, თქვე იდიოტო ნაცებო?

2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე ვერავინ ვერ დაასახელებს თუნდაც ერთ ფაქტს, რომელიც იმის არგუმენტად გამოდგებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" საქართველოს რუსულ ორბიტაზე აბრუნებს.

ნაცმოძრაობა და მისი მოკავშირეები გამუდმებით უკიჟინებენ ივანიშვილს და ქართულ ოცნებას, რატომ არ დგამთ მკვეთრ ნაბიჯებს რუსეთის წინააღმდეგ, რატომ არ აკეთებთ მკვეთრ განცხადებს ანუ რატომ არ ახორციელებთ პროვოკაციულ ქმედებებს რუსეთის მიმართო, რაც ასე იშიფრება: რატომ არ აძლევთ რუსეთს საბაბს და მოტივს, რომ რადიკალური ზომები მიიღოს, თქვენ დაგამხოთ და მერე თქვენ ადგილას ჩვენ მოვიდეთო.

●

— წარმოუდგენელი ამბები ხდება: როგორ ახერხებენ პროდასავლური პარტიები პრორუსულ ძალასთან, ნინო ბურჯანაძესთან ითანამშრომლონო — გაკვირვებულნი კითხულობენ პოლიტიკოსები, ექსპერტები, ანალიტიკოსები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ რომ საღად აზროვნებენ.

კითხვის ამგვარი დასმაც კი შეცდომაა, ჩემო ღრმად მოაზროვნეებო, რადგან ესენი პროდასავლური კი არა ჩვეულებრივი პრორუსული პარტიებია, პროდასავლურის ფსევდონომით და გარედან მიტყეპებული პროდასალურობის „დამადასტურებელი" იარლიყით.

**ეს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია პრორუსული პარტიების დიდი ოჯახია, რომელსაც მთავარ დიასახლისად და დედაბოძად კნეინა ნინო ანზოროვნა ჰყავთ.**

არ ვიცი, რა გაუჭირდათ მათ ისეთი, რომ ფაქტობრივად, ნიღაბი ჩამოიხსნეს და საკუთარი თავი გაშიფრეს.

ეს უკვე სრული ლუსტრაციააა...

ამიერიდან, რეგვენი თუ დაიჯერებს გრუს ლაბორატორიებში შეთხზულ ზღაპრებს და ლეგენდებს ამათი პროდასავლურობის შესახებ.

დაბოლოს: არ მინდა მკითხველმა ისე გაიგოს ეს წერილი, თითქოს წინააღმდეგი ვიყო რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების აღდგენისა.

არა, ეს ნამდვილად არ არის ასე, თუმცა იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ურთიერთობების აღდგენა ვერასოდეს მოხდება სხვადასხვა სახის დივერსიული ჯგუფებისა თუ აგენტურული ქსელების კონსპირაციული მეთოდებით, რაც საბოლოო ჯამში ნორმალური, პარტნიორული ურთიერთობის აღდგენას კი არა ქართული სახელმწიფოს დასუსტებას და დაძაბუნებას ისახავს მიზნად.

**ვახტანგ ხარჩილავა**



**მინაწერი:**

ნინო ანზოროვნას ჩამოსვლის მეორე დღესვე ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და ხელისუფლება ისევ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და თუ ოპოზიციას დავუჯერებთ, ყინული ნელ-ნელა დაიძრა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაჩნდა იმედი, მომავალ 2020 წელს პარლამენტში შეიძლება კვლავ ვიხილოთ „ნაცმოძრაობა", „ევრონაცები", ნინო ანზოროვნა, შალვა ნათელაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ზურაბ ჯაფარიძე, სხვანი და სხვანი, ანუ თითქმის ყველაფერი ისე გაგრძელდეს, როგორც ახლა არის...

ერთი შევარდნაძეღა აკლია ამ სიას საპატიო მიზეზის გამო, თორემ დანარჩენები ყველანი აქ არიან.

**საქართველომ 30 წელია ვერ მოიშორა რუსული წარმოშობის ეს პოლიტიკური მაფია, ყოფილი კომუნისტებით და კომკავშირლებით, კგბ-ს შტატიანი თანამშრომლებით დაკომპლექტებული ბანდა, კრიმინალური სინდიკატი, ქართული პოლიტიკის დონ კორლიონეს, შევარდნაძის, მიერ ხელდასმული და კურთხევამიცემული.**

ვიარეთ, ვიარეთ და ისევ იქ დავბრუნდით, საიდანაც წამოვედით.

წამოსვლით კი წამოვედით, მაგრამ გზაში დავიკარგეთ და ის საქართველოც დაგვეკარგა, რისთვისაც ვიბრძოდით და თავს ვწირავდით.

ჩვენ დავიკარგეთ, მაგრამ ისინი გადარჩნენ — ეს ანზოროვნები და სააკაშვილები, ეს ბოკერიები და ბარამიძეები, ეს უგულავები და ხაზარაძეები, ეს უსუფაშვილები და ხიდაშელები, ჩვეულებრივი აგენტები და რეზიდენტები, რომლებიც ხან როდიონოვს, ხან ბალტინს, ხან ბეპაევს უცხადებდნენ სიყვარულს და ერთგულებას.

**აი, ესენი, ეს გათახსირებულები, ეს ქვეყნის მოღალატეები და გამყიდველები კვლავ პოლიტიკურ ელიტაში რომ დარჩნენ, ამისთვის არის ეს ამდენი გაწამაწია, ეს ამდენი იწილო-ბიწილო, მთელი დიპკორპუსის და ევროკავშირის ელჩების ჩართვით?**

როგორც ჩანს, ამ მაოხრებლებისგან, ამ შინაური ოკუპანტების და დამპყრობლებისგან საქართველოს გათავისუფლებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

სამწუხაროდ, მე და ჩემს თაობას ეს დიდი დრო უკვე არ გვაქვს, ამიტომ ახლავე, სანამ პირში სული ჯერ კიდევ გვიდგას, ხმამაღლა და გარკვევით უნდა ვუთხრათ ამ ავაზაკებს: პაშლი ვი ნა ხ.ი, მერზავცი!

**ვ.ხ.**

# საპროტესტო მუხტი რომ გააძლიერონ, ნაცები აქციებზე ვინმე თავისიანის მოკვლას გეგმავენ

*გვესაუბრება პარტია „მემარცხენე ალიანსის“ გენერალური მდივანი კახა ძაგანია:*

**— ბატონო კახა, თქვენ ოპოზიციური პარტია ხართ. რატომ არ დგახართ აქციებზე მომიტინგეებთან ერთად? თუ თქვენც ჩემსავით ვერ გაიგეთ — ანტისაოკუპაციო მიტინგია, გახარიას გადადგომის მოთხოვნის გაგრძელება თუ პროპორციული არჩევნების მოთხოვნა?**

— დიახ, ჩვენ ოპოზიციური პარტია ვართ, ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ და არც დავდგებით იმ ძალის გვერდით, რომელსაც კრიმინალური წარსული აქვს, ხოლო დღეს რევოლუციური და რევანშისტული გზით ცდილობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

როგორ შეიძლება მათ გვერდით დგომა. ამ ხალხს პოლიტიკური მრწამსი კი არ აქვს, არამედ ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნება უნდათ. რაც იქ ხდება, ისეთ ეკლექტურ გარემოში ჩვენი ყოფნა წარმოუდგენელია. ჩვენ არ ვეთანხმებით მათ მოსვლას ხელისუფლებაში ძალისმიერი მეთოდებით. „ნაცმოძრაობა“ კი მზადაა ყველაფერზე წავიდეს, ოღონდ ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს.



არ მესმის იმ პარტიების, რომლებიც დგანან მათ გვერდით, და ფაქტობრივად, მონაწილეობას იღებენ იმ დესტრუქციულ ქმედებებში, როგორიცაა, ვთქვათ, პარლამენტის, საკრებულოების, მერიების და ა.შ. შენობების დაბოქლომება.

მენანება ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, მენანება მათი იმიჯი იმ ძალასთან რომ ასოცირდება, რომლებმაც სისხლისღვრის და უსამართლობის კასკადი დააყენა ჩვენს ქვეყანაში თავისი მმართველობის პერიოდში.

**— რას ფიქრობთ, რატომ იქცევიან ასე?**

— კი არ ვფიქრობ, მეტიც, ვიცი მათი ინტერესები. რამდენიმე მათგანისგან მსმენია, ახლა მოვიპოვებთ პროპორციულ საარჩევნო სისტემას და „ნაცმოძრაობასთან“ ერთად კი არ გავალთ არჩევნებში, ჩვენი სახელით და ჩვენი პარტიისთვის ვიბრძოლებთო, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ იმის ჩიტი არაა, ვინმეს სარგებელი ანახოს. თუმცა პოლიტიკური სიჭრელე აწყობს კიდევაც ახლა „ნაცმოძრაობას“, მათი სურვილიცაა მრავალპარტიული პარლამენტი, თუმცა გადაწყვეტილებების მიმღებები, რა თქმა უნდა, თვითონ იქნებიან, რადგან უმრავლესობაზე ოცნებობენ და ამისთვის იბრძვიან. ზოგიერთ მიტინგზე მდგომ პარტიებს ღია ეთერებიდანაც და პირადადაც შევთავაზე, გამოეყავით „ნაცმოძრაობას“, შევერთდეთ და ერთად ჩავატაროთ აქციები პროპორციული საარჩევნო სისტემის მოთხოვნით მიზნით-მეთქი. დარწმუნებული ვარ, უამრავი ხალხი გამოგვყვებოდა, მაგრამ მათ ისურვეს „ნაცმოძრაობასთან“ ერთად დგომა.

**— რატომ?**

— საკუთარი პარტიების რეიტინგების შეეშინდათ. იფიქრეს, რომ „ნაცმოძრაობის“ გარეშე არავინ არ გაჰყვებოდათ და არავინ დაუჭერდათ მხარს, რაც დიდი შეცდომაა.

მშვენივრად მოგეხსენებათ, აქციებს და მიტინგებს რამხელა თანხები სჭირდება. ამ აქციებს სააკაშვილი აფინანსებს. კაზრეთის ოქროს საბადოზე რომ იჯდა მილიონერი კობა ნაყოფია, სწორედ მან უთხრა უარი „ნაცმოძრაობას“ აქციების დაფინანსებაზე, ხაზარაძესაც უარი შეუთვლია — რევოლუციას არ დავაფინანსებ, მით უფრო, რომ თქვენი იმედი არ მაქვსო, გაიძვერაა ხაზარაძე და მიხვდა ყველაფერს. ნინო ბურჯანაძესაც უარი უთქვამს და ახლა მარტო მიშა აფინანსებს თურმე ამ აქციებს. ჩემი ინფორმაციით, უკვე 10 მილიონი ლარია დახარჯული.

**— თქვენ საიდან იცით ამის შესახებ, ასე ხმამაღლა რომ ადებთ ხელს სააკაშვილს აქციების დაფინანსებაში?**

— სახელებს და გვარებს არ ჩამოვთვლი, მაგრამ აქციებიდან მოგვდიოდა ამბები და ზუსტად ვიცი, სააკაშვილი აფინანსებს აქციებს, რაღა თქმა უნდა, ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით.

დღეს „ნაცმოძრაობას“ არავითარი შანსი აღარ დარჩა ძალაუფლების კვლავ მოსაპოვებლად, რადგან მშვენივრად დავინახეთ კიდევ ერთხელ, რომ ხალხი მათ მხარს არ უჭერს. მათ ემხრობა რამდენიმე პოლიტიკური პარტია — ნათელაშვილი, მაჭუტაძე, ბაჩუკი ქარდავა და მათნაირები, რომლებიც ამ საქმიდან პოლიტიკურ სარგებელს ელიან.

**— კერძოდ?**

— კერძოდ იმას, რომ, როგორც „ნაცმოძრაობის“ და მისი ლიდერის მიზანია, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იმ პარტიებს, რომლებიც მიტინგებზე მათ გვერდით დგანან, გამარჯვებულები, მერე ამ ოპოზიციურ პარტიებს ერთი-ორ ან სამ მანდატს მისცემენ და პარლამენტში დასვამენ. წარმმართველი ძალა კი „ნაცმოძრაობა“ იქნება, ანუ მათი პოლიტიკური ნასუფრალით უნდათ რომ იკვებონ. მიკვირს, რატომ ვერ შეისწავლეს აქამდე და რატომ არ იციან სააკაშვილის ხასიათი. ის ხომ ჩვეულებრივი გადამგდებია?

**— აქციები გაგრძელდებაო, აანონსებდნენ. „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კი განაცხადა: 2020 იქნება მაჟორიტარული, 2024-დან კი პროპორციულზე გადავა ქვეყნის საარჩევნო სისტემაო — პარლამენტმა გადაწყვიტა ასე. რას ფიქრობთ, შეეგუება „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი თანხების უშედეგოდ ფლანგვას და კიდევ ერთ კრახს?**

— რამდენადაც მომდის ხმები, ნაცები იმაზეც არიან წამსვლელი, რომ დაიქირავონ ქილერი და ვინმე თავისიანი მოკლან, რომ ამით მაინც ასწიონ საპროტესტო მუხტი ხალხში. გამოფხიზლდნენ ცოტა ძალოვნები, მათი პირდაპირი ფუნქციაა მსგავსი პრობლემების თავიდან აცილება. ძალიან მიკვირს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გაურკვეველი პოზიციების არა მხოლოდ ამ კონკრეტულ მოსალოდნელ ფაქტზე, არამედ, ზოგადად, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებასა და მოვლენებზე რეაგირების კუთხით.

პარტიისა და პარტიისადმი პასუხისმგებლობის მიუხედავად, საფრთხე ქვეყანას ემუქრება და თუ სამოქალაქო ომის თუნდაც მსგავსი სიტუაცია წარმოიშვა და ღმერთმა არ ჰქნას, განხორციელდა, ამას ქვეყანა ველარ გადაიტანს.

ძალიან მიკვირს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პოზიცია, როცა იგივე არჩევნების წესზე ან სხვა პრობლემატურ საკითხებზე ჟურნალისტები ეკითხებიან, იბნევიან და ცდილობენ ორაზროვანი



პასუხი გასცენ ისე, თითქოს თავის დაძვრენა უნდოდეთ. ვერ გამიგია, პარტიის თავმჯდომარე რასაც იტყვის, პარტიის ბირთვი თუ პოლიტიკური ბიურო რასაც გადაწყვეტს, რატომ არ უნდა დაუჭირო იმას მხარი. რატომ ერიდებათ იმის თქმა: დიახ, ჩემი პარტიის გადაწყვეტილებას ვემხრობიო. თუ არ ეთანხმებიან, გამოვიდნენ იმ პარტიიდან და გადავიდნენ სხვა პარტიაში. თუ არც ერთს არ ეთანხმებიან, მაშინ არარაობა ყოფილან და ეს არის...

**— ალბათ, პოლიტიკური პრინციპები კი არა მატერიალური სარგებელი უფრო აინტერესებთ. სხვა ახსნას მე ვერ ვუძებნი.**

— თუ სარგებელში არიან, ნება იბოძონ და ენას კბილი დააჭირონ. როცა ეკითხებიან, ეთანხმებიან თუ არა პარტიის ლიდერის გადაწყვეტილებებს, კი ნუ იპრანჭებიან, პირდაპირ თქვან: დიახ, ჩემი პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას ვეთანხმები, რადგან ყრილობაზე მანდატი მივეცი მას, რომ ოთხი წლის განმავლობაში პარტიას უნდა უხელმძღვანელოს.

**— ნაციონალები და ნაციონალების თანამებრძოლები არიან „ქართულ ოცნებაში“ კოჰაბიტაციის შედეგად შერწყმული და ძველ გზას ვერ თმობენ, ალბათ...**

— დიახ, ის ხალხი, „ქართული ოცნების“ ლიდერები, რომლებიც კონკრეტულ პასუხებს ვერ და არ აძლევენ ლეგიტიმურ კითხვებზე, მათ უკანალის ცალი მხარე ნაცების სკამზე უდევთ და მეორე მხარე „ქართული ოცნების“ სკამზე. ბოდიში და ორტრაკა პოლიტიკოსები არიან ასეთი ხალხი. ხელისუფლებაში არის „ქართული ოცნება“ და ხელისუფლებაში უნდათ ყოფნა, თუ, ვაიდა, ნაცებმა რაიმეს მიაღწიეს, გაადახტებიან მათკენ. ეს არის სულ, მაგრამ პირდაპირ შემიძლია ვთქვა, „ნაცმოძრაობას“ უკვე ყველანაირი შანსი დაკარგული აქვს. მას ხალხი არ ემხრობა და არც შეიძლებოდა მიმხრობოდა მათი დანაშაულებრივი და კრიმინალური რეჟიმის გამო.

ძალიან მიკვირს, რატომ არ რეაგირებს ამ პირშიწყალჩაგუბებულებზე „ქართული ოცნების“ პარტიის ხელმძღვანელობა. თუ ისევ შერწყმა-კოჰაბიტაციაზე ფიქრობენ, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და არაერთხელ დამტკიცდა ეს.

**— ბატონო კახა, თქვენ და თქვენს პარტიას რამდენად გაქვთ შანსი 2020 წლის არჩევნებში წარმატებას მიაღწიოთ?**

— მას შემდეგ, რაც „ოცნების“ ხელმძღვანელობამ განაცხადა: არჩევნების დროს, სადაც იქნება ნაცების გარდა სხვა ოპოზიციური პარტიების კანდიდატები წარმოდგენილნი, იქ ჩვენს წარმომადგენლებს აღარ დავაყენებთო, ამ განცხადების ფონზე, ვვარაუდობთ, ჩვენი პარტია საკმაოდ წარმატებული იქნება. ჩვენი რესურსის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, 4–5 მაჟორიტარ კანდიდატს გავიყვანთ პარლამენტში. თუ ნაცებთან პირისპირ მოგვიწევს პოლიტიკური ბრძოლა არჩევნებში, დარწმუნებული ვართ, ჩვენი ნებისმიერი კანდიდატი ხერხემალში გადაამტვრევს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელს. პოლიტიკურ ხერხემალს ვგულისხმობ, ცხადია.

**— ახლა „ნაცმოძრაობა“ თავის თავს მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიქვამს. 2020-სთვის ეს ასე აღარ იქნება?**

— ხომ ხედავთ, აქციებზე ხალხი არ გამოდის. მათ მოსახლეობა მხარს არ უჭერს.ე.წ. ოპოზიციური გაერთიანება უკვე წაგებულ თამაშს თამაშობს, პოლიტიკური პროცესის დისკრედიტაცია მოხდა "ნაცების" გამო, ხალხი ხვდება, რომ ნაციონალების დაფინანსებული რევანშისტული აქციები ქვეყანას არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს. რეალურმა, პასუხისმგებლიანმა ოპოზიციურმა ძალებმა ერთმანეთს უნდა შევუთანხმოთ ოლქებში კანდიდატურების საკითხები, რომ ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ, ამ შემთხვევაში, ნაცების კანდიდატი, პრაქტიკულად, ველარსად ვერ გავა.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ანაკლიის პორტი აუცილებლად აშენდება, რითაც სამეგრელოს განვითარების ახალი ეტაპი დაიწყება

*გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებული, გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია*

**— ბატონო ალექსანდრე, რა გამოწვევების წინაშე დგახართ, როგორც რეგიონის ხელმძღვანელი?**

— გამოვყოფ მოსახლეობასთან არასაკმარისი კომუნიკაციის არსებობას. თავიდანვე დავიწყეთ სწორედ ამ საკითხზე მუშაობა და მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის დამკვიდრება, მათთან პერიოდული შეხვედრები, არსებული პრობლემების შეძლებისდაგვარად გადაჭრა, სამომავლო გეგმების გაცნობა, რაც ხელს უწყობს მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ნდობის გამყარებას, ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას. მოგეხსენებათ, რეგიონში ძალიან ბევრი პრობლემაა, მათი მასშტაბები და ხასიათი განსხვავებულია, ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება შეუძლებელია, თუმცა სწორი კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებიულობას და თანაზიარობას არსებული პრობლემების თანმიმდევრულ გადაწყვეტაში. შეძლებისდაგვარად, შენდება გზები, საბავშვო ბაღები, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩავუტარეთ 93 სკოლას, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში აშენდა ან მიმდინარეობს სასწრაფოს ცენტრების მშენებლობა, ასევე რეაბილიტაციას ვუტარებთ 36 ამბულატორიას და 28 ახალ ობიექტს ვაშენებთ. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

**— სამეგრელოს რეგიონში ერთ-ერთი მთავარი კულტურა და მოსახლეობის შემოსავლის წყარო თხილი გახდა. თუმცა ბოლო წლებში აზიური ფაროსანას გამრავლებამ მოსავლიანობას დიდად შეუშალა ხელი. ვიცით, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, თუ არის შედეგები, საბოლოოდ აღმოფხვერით თუ არა ეს პრობლემა?**

— პრობლემა საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის.

აღსანიშნავია, ის სამწუხარო ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების კულტურა ჩვენს რეგიონში სათანადო დონეზე არ დგას. ვგულისხმობ, პირველ რიგში, ბაღების მოვლა-პატრონობას. მთავარი ამოცანა არის არა მხოლოდ აზიური ფაროსანასაგან, არამედ სხვადასხვა დაავადებებისაგან, მავნებლებისაგან მცენარის დაცვა და მისი მოვლა. სწორედ მოვლა-პატრონობა განსაზღვრავს მოსავლის, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებელს. ამდენად, აღნიშნული ითვალისწინებს ცოდნის მიტანას ჩვენს ფერმერებთან და მხოლოდ ცოდნის მიტანისა და გაღრმავების შედეგად, უშუალოდ, ფერმერების მიერ განხორციელებული სწორი აგროღონისძიებების შედეგად, შესაძლებელია, გარანტირებული მაღალხარისხიანი მოსავლის მიღება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჩემი განკარგულება (განკარგულება № 170, 6.11.2018), რომელიც ითვალისწინებს 2019 წლის მოსავლის ზარალის შემცირების შესახებ გასატარებელ ღონისძიებებს. ეს განკარგულება გულისხმობდა კარდაკარ სიარულის პრინციპით, ჩვენი მოსახლეობის ჩართულობას ცოდნის მიღებას და სწორი აგროღონისძიებების გატარებას, აგრეთვე, მათგან ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა საჭიროებების შესახებ. ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა თხილის მწარმოებელთა ასოციაციათან ერთად. აღნიშნული ითვალისწინებდა ფერმერთა ტრენინგს, ფერმერთა ჯგუფების შექმნას, მათი ლიდერის გამოვლენას და ამ ფერმერთა ჯგუფებისთვის აგროკონსულტანტის მიჩნევას. ამ განკარგულების შედეგად ხელისუფლების, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მმართველობის ყველა რგოლი იქნება ჩართული ამ ღონისძიებაში. ჩვენ ასოციაციასთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად კარდაკარ სიარულის პრინციპით ვხვდებოდით მოსახლეობას და ადგილზე ვაცნობდით, რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ გარანტირებული მოსავალი მიეღოთ. ასევე, საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ასოციაციაში უფასო გაწევრიანების შესახებ, რის შემდეგაც ისინი შეძლებდნენ შხამ-ქიმიკატების განვადებით მიღებას და რაც მთავარია, მიიღებდნენ აგროკონსულტანტის უფასო მომსახურებას და ნიადაგის უფასო ანალიზს. ამის პარალელურად, გამოიკვეთა პრობლემები, რაც ჩვენს ფერმერებს აწუხებდა, რის შედეგადაც სახელმწიფომ შეიძინა 2000 შესაწამლი აპარატი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცა სწორედ ასოციაციას და ასოციაციამ უსასყიდლოდ გადასცა ეს აპარატები ფერმერთა ჯგუფებს. ღონისძიების დასაწყისში ასოციაციას 1200 გაწევრიანებული ფერმერი ჰყავდა, დღეს კი 15 000 ათასამდე არის. შედეგი არის ის რომ, 2019 წელს მივიღეთ სრულიად სხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოსავალი, მოვახდინეთ საკმაოდ დიდი ნახტომი, 2018 წლის მოსავალსა და 2019 მოსავალს შორის. მივაღწიეთ, დაახლოებით, 40 ათას ტონამდე თხილის მოსავლის მიღებას.

**— თხილის გარდა, სამეგრელოს რეგიონში ადრე შემოსავლის წყარო იყო დაფნაც, ხილიც, ციტრუსიც. გიფიქრიათ თუ არა, მათი აღორძინების გზებზე და დგამთ თუ არა ამ მიმართულებით ნაბიჯებს?**

— რაც შეეხება დაფნას, ხილს, ციტრუსს და ჩაის, რა თქმა უნდა, თხილის კულტურის განვითარება არ უნდა უნდა ხდებოდეს სხვა კულტურების შევიწროების ხარჯზე. დაფნა დღეს საკმაოდ მოთხოვნადია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ანალოგიური პრობლემები არის, აქაც უპრიანი იქნებოდა გაგვეტარებინა იგივე ღონისძიებები. დარგმა თვითონ უნდა შექმნას სახელმწიფოს ხელშეწყობით ასოციაციები და სწორედ ასოციაციების მეშვეობით ცოდნა და განათლება მივიტანოთ ყველა იმ დარგისათვის, რომლიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის.

**— რა ხდება ჩაის კულტურის აღორძინების მიმართულებით?**

— ჩაის კულტურის მხრივ საქართველო ცნობილი იყო თავისი ნიშით, როგორც პოსტსაბჭოთა, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ჩვენი ჩაი ხარისხობრივი მაჩვენებლით არ ჩამოუვარდება თითქმის არც ერთი ქვეყნის მიერ წარმოებულ ჩაის. პლანტაციებს სჭირდება რეაბილიტაცია. ჩვენ მოვახდინეთ იმ მიწების ინვენტარიზაცია, რომლებზეც იყო ჩაის კულტურა გაშენებული, მონაცემები გვაქვს, რისი აღდგენა შეიძლება და რისი არა, თუმცა, აქაც საჭიროა კომპლექსური მიდგომები, არა მხოლოდ ჩაი, თვითონ როგორც კულტურის წარმოების, არამედ მისი წარმოების და ბრენდირების მხრივ. ამ მხრივ, არსებობს სახელმწიფო პროგრამა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის, თუმცა ვთვლი, რომ დამატებითი რესურსები არის მოსაძებნი წარმოების ჯაჭვის ყველა რგოლის გასაძლიერებლად.





**— ბატონო ალეკო, როცა ვამბობთ, რომ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები, უნდა ვაჩვენოთ, რომ მეზობელ რეგიონში ეკონომიკური სტაბილურობაა, აღორძინდა მეურნეობა, წარმოებები, ამ კუთხით რაიმე წარმატება თუ გაქვთ, ხომ არ აპირებთ, ან ხომ არ განახორციელეთ წარმოებებისა და ბიზნესებისთვის პირობების შემსუბუქება, მეტად მიმზიდველი რომ ვიყოთ აფხაზებისთვის?**

— მოგეხსენებათ, მთავრობის ინიციატივით შემუშავდა საგრანტო პროგრამა —„ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“. პროგრამა ითვალისწინებს საოკუპაციო გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას. გარდა ამისა, „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID“-ის ერთობლივი პროექტით ხორციელდება საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოების დაფინანსდება. პროექტს „სტარტაპ-საქართველო“ ახორციელებს. დამწყებ მეწარმეებს შანსი ეძლევათ საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინოვაციურ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესები წამოიწყონ.

ასევე არის ძალიან ბევრი სახელმწიფო პროგრამა, როგორც აწარმოე საქართველოს მხრივ, ასევე სოფლის მეურნეობის პროგრამები, სადაც სახელმწიფოს ხელშეწყობა არის ძალიან მასშტაბური და მასში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოქალაქეებს, ასევე ყველა დანარჩენს.

რაც შეეხება ბიზნესის პირობების შემსუბუქებას, მე ვთვლი რომ საქართველში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნეს გარემოა. ამ მხრივ, ჩვენთან დღეს დღეობით პრობლემები არ გვაქვს. მაგრამ არის კვალიფიციური კადრების პრობლემა, ისევ მივდივართ განათლებასთან, როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი განათლების კუთხით, ეს არის გადამწყვეტი საკითხი, სწორედ პროფესიული განათლების შედეგად გვექნება საშუალება რომ სწრაფი ნაბიჯებით წავიდეთ წინ. შესაბამისად, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ პროფესიული სასწავლებლების ხელშეწყობას და აღორძინებას, ერთ-ერთი ასეთი იქნება ფოთში და ზუგდიდში. ამჟამად მიმდინარეობს ყოფილი შონიას ტექნიკუმის ბაზაზე, ზუგდიდში პროფესიული სასწავლებლის აღორძინებაზე ინტენსიური მუშაობა. რაც შეეხება ფოთს, აქ საზღვაო სასწავლებლის შენობის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი თანხა მთავრობის განკარგულებით უკვე გამოიყო. სასწავლებელი ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის ყოფილ შენობაში განთავსდება. ახალი სასწავლებელი გათვლილი იქნება 1000 სტუდენტზე. ფოთის საზღვაო პროფილური სასწავლებელი, სწორედ არის გარანტი იმისა, რომ გვექნება პროფესიონალი კადრების როგორიც ანაკლიაში, ასევე ფოთში დასაქმების საშუალება.

**— ვიცი, რუხში აშენდა მრავალფუნქციური საავადმყოფო, თუმცა არ ფუნქციოირებს ისე, როგორც დაგეგმილი იყო, ანაკლიის პორტის მშენებლობაზე მინდა გკითხოთ.**

— პორტი აუცილებლად აშენდება და მას აქვს გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი რეგიონისა და ქვეყნისათვის.

რუხის საავადმყოფოს რაც შეხება, ამჟამად აღჭურვის პროცესი მიმდინარეობს, მშენებლობის პროცესი დასრულებულია. შესაბამისად, როდესაც მისი აღჭურვა დასრულდება მერე შეგვიძლია უფრო მეტი ვისაუბროთ ამ საკითხზე.

**— მამათქვენს მთელი სამეგრელო იცნობდა, მის ნაკეთებ კარგ საქმეებზე დღემდე ისტორიებს ყვებიან. ეს დიდი ტვირთია, რადგან თქვენ უფლება აღარ გეძლევათ მოდუნდეთ და მამის დაწყებული გზა არ გააგრძელოთ...**

— რა თქმა უნდა, ეს არის ორმაგი პასუხისმგებლობა ჩემთვის და ვცდილობ გავამართლო ჩვენი მოსახლეობის ნდობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ნაცები ფიქრობენ, რაც უფრო უარესად იქნება სახელმწიფოს საქმე, მით უკეთესი მათთვის



გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

**— ბატონო რამაზ, პროპორციული არჩევნების მოთხოვნა კვლავ აქტუალურია. თუმცა, საინტერესოა, მართლა აინტერესებს „ნაცმოძრაობას“ პროპორციული წესით ჩატარდება არჩევნები, მაჟორიტარულით თუ შერეული თ. ეს უფრო დემაგოგიას ხომ არ ჰგავს, რაც ქვეყნის არევის, დესტაბილიზაციის მცდელობის მიზნით არის განპირობებული?**

— პრინციპში, თქვენს ეჭვს ვიზიარებ — შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს. თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ ორივე ერთად სურდეთ — დესტაბილიზაციაც და პროპორციული არჩევნებიც. არჩევნების პროპორციული წესით ჩატარება, პირველ რიგში, პარტიებისთვისაა ხელსაყრელი. ამ გზით პარტიამ პარლამენტში შეიძლება უფრო მეტი ადგილი მიიღოს, ვიდრე





შერეული სისტემით. პარტიისთვის თითოეული ადგილის მიღება, ამავდროულად, ბიუჯეტიდან ფულის მიღებასთან კავშირშია. ეს მხოლოდ თეორიულ-პოლიტიკური საკითხი როდია, არამედ მატერიალურიც. ამიტომ, ამ სურვილის მიღმა, შესაძლოა საკმაოდ მიწიერი მოტივიც იყოს. გვახსოვს, რომ პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით არჩევნების ჩატარებაზე განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. ამ გზით, სავარაუდოთ, პარლამენტში, თითქმის, ყველა პარტია მოხვდებოდა. ესეც დღეს განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მოტივია. მეორე მხრივ, „ნაცების“ ასეთი დაჟინებული მოთხოვნა: გინდა თუ არა პროპორციული არჩევნები 2020 წელს ჩატარდესო, ცოტა არადამაჯერებლად ჟღერს. კონსტიტუციურ დონეზე გადაწყვეტილია, რომ არჩევნები პროპორციული სისტემით 2024 წელს ჩატარდება. მაშინ რა ხდება, რატომ სურთ, მაინცდამაინც, ახლა „ნაცებს“ ამ სისტემაზე გადასვლა? აი, აქ, უკვე, ჩნდება ის ეჭვი, რაც თქვენ გამოთქვით — მიზეზი სულ სხვა რამეში ხომ არ მდგომარეობს? — თუნდაც, ამის მთავარი მიზეზი ქვეყანაში არასტაბილურობის შექმნა ხომ არ არის?! მეც მიმაჩნია, რომ ოპოზიცია სხვა მიზეზებთან ერთად ქვეყნის არასტაბილურობასაც უწყობს ხელს. უფრო ზუსტად რომ გითხრათ: ქვეყნის არასტაბილურობას მიესალმება ის სუბიექტი, რომელიც ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, „ნაციონალების“ მოქმედებას განსაზღვრავს. ეს გახლავთ რუსეთი. დიახ, მას ნამდვილად სჭირდება არასტაბილური საქართველო სწორედ ახლა და არა 2024 წელს იმიტომ, რომ ამ ეტაპზე სახეზეა ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა. სამწუხაროდ, არცერთი ოპოზიციური ჯგუფი არ დაფიქრებულა: თავიანთი ქცევებით ხომ არ უშლიან ხელს ანაკლიის პორტის მშენებლობას. სამაგიეროდ, თუკი ანაკლიის პროექტი მშენებლობა ჩაიშლება, პირველი ვისკენაც ხელს გაიშვერენ, ეს ხელისუფლება იქნება. მაგრამ თავად, უქმნიან თუ არა ანაკლიის პროექტს საფრთხეს ამ უგუნური საქციელებით, ეს არ აინტერესებთ. მათთვის თვითონ რომ არ შეუშალონ ხელი ანაკლიის პორტის მშენებლობას, მათთვის საკითხი ასე დგას — თუ სჭირდებათ დესტაბილიზაცია, ამას ნებისმიერ ფასად უნდა მიაღწიონ და მორჩა, სხვა არაფერი აინტერესებთ. ასე, რომ სადაოც აღარ არის თუ რაში სჭირდება, ახლა, რუსეთს საქართველოში დესტაბილიზაცია? გადახედეთ, უცხოელების რეაქციებს — ისინი ჩვენთან არსებული დაპირისპირებით დაძაბულები, შეშფოთებულები არიან. როცა დიპლომატები, ჩვენთან შექმნილ კრიზისზე, ასე საუბრობენ, ალბათ, გაცილებით მძიმეა იმ ბიზნესმენების ფიქრები, რომელთაც ანაკლიის პორტის მშენებლობაში Fფული უნდა ჩადონ. რა თქმა უნდა, მაშინ როცა თბილისში — ქალაქის შუა ცენტრში კარვებია გაშლილი და ყოველ მეორე დღეს პარლამენტის შენობის წინ მიტინგი ტარდება, არცერთი ბიზნესმენი ასეთ რისკზე არ წავა. აქ რაც ხდება ეს, უკვე, პოლიტიკაც აღარ არის, არამედ შოუა იმის საჩვენებლად თუ რა „უსუსურია“ ხელისუფლება და რა „ძლიერია“ ოპოზიცია.

**— მას შემდეგ რაც ივანიშვილმა პროპორციული არჩევნების ჩატარება დააანონსა, სააკაშვილმა განაცხადა: ვინც პროპორციულ არჩევნებს მხარს დაუჭერს, სულელი იქნებაო. რას ნიშნავს ყოველივე?**

— სააკაშვილი ლოგიკას არ ექვემდებარება, არამედ იმ მომენტში რაც სჭირდება, იმას ამბობს. ადრე, მას შერეული სისტემა სჭირდებოდა. როგორ ფიქრობთ: რატომ გააუქმა 2004 წელს პროპორციული არჩევნების შედეგები? — იმიტომ, რომ გარანტია ჰქონდა, რომ მაჟორიტარები მხარს მას დაუჭერდნენ. მოგვიანებით, როცა თავად ოპოზიციაში გადავიდა, უკვე, პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ამჯობინებს. მოკლედ, მიშას როგორც აწყობს, ისე ლაპარაკობს.

**— ბატონო რამაზ, თუ გახსოვთ: გვარამია თავის ახალ ტელევიზიაში ოპოზიციონერებს დაფაზე ხელს აწერინებდა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციურ მთავრობას არ შექმნიდნენ. გამოდის, „ნაცებს“, ყველა შემთხვევაში, პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა თუ არა არჩევნები, მაინც დაგეგმილი ჰქონდათ ქვეყანაში არეულობის მოწყობა?**

— დიახ, ყოველ შემთხვევაში, დესტაბილიზაციის აფეთქების ნაღმი უკვე არსებობდა. დიახ, თუკი „ქართული ოცნება“ ხმების 50%-ს ვერ მოაგროვებდა, მას, მერე, მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსთან“ გაერთიანება აღარ ჰყოფნიდა, ვიღაც სხვა პარტნიორად კიდევ უნდა ჰყოლოდა. აი, ამიტომაც გვარამია ყველა ოპოზიციონერს ხელს აწერინებდა იმაზე, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციურ მთავრობას არ შექმნიდნენ. ამით, ისინი, პრაქტიკულად, ხელს აწერდნენ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის შექმნას. დიახ, იმის მსგავსი კრიზისისა, რომელიც გაგრძელდა ისრაელში, ასევე, ადრე, არსებობდა უკრაინაში და კიდევ უფრო ადრე იტალიაში. საპარლამენტო სისტემას ასეთი კრიზისები ახასიათებს. თუ პარტიები ერთმანეთს დანა-სისხლად უპირისპირდებიან და პარტნიორობას არ აპირებენ, კოალიცია ვერ იქმნება. ანუ, ვერ იქმნება მთავრობა და შედეგად, მთელი სახელმწიფოს მართვა ჩერდება. ამიტომაა საქართველოში ამ სისტემით მუშაობა არასწორი. ანუ, ქართულ მიწაზე, საქართველოსთვის ეს სისტემა არამართებულია იმიტომ, რომ დაბალი პოლიტიკური კულტურის პირობებში, აუცილებლად, კრიზისები იქმნება. აი, სწორედ ამ კრიზისისკენ მიჰყავდა ქვეყანა აღნიშნულ ხელმოწერებს. ამიტომაც გამოაცხადა ივანიშვილმა ძველ საარჩევნო სისტემაზე დაბრუნება, რითაც ასეთი კოალიციური მთავრობისა და ამ გზით დესტაბილიზაციის შექმნის ხაზი გადაჭრა. პრინციპში, მან, ეს ავისმომასწავებელი პერსპექტივა თავიდან აიცილა.

**— ოპოზიცია გერმანულ მოდელზე საუბრობს, მაგრამ ამაზე დავა, დისკუსია ხომ აბსურდია. სახელმწიფო კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრობს, იქ კი ამ მოდელზე არაფერი წერია. ამ იწილო-ბიწილომ ხალხი საკმაოდ დააბნია.**

— ნუ, იცი რა, ეს „დაბნეულობა“ მომწონს კიდეც, შემდეგი მიზეზის გამო: მაჟორიტარები ცდილობენ საწადელს მიაღწიონ. მივესალმები იმას, რომ მაჟორიტარები აპირებენ მოსახლეობასთან დიალოგს, რაიონებში ჩასვლას და იმის ახსნას თუ რა განსხვავებაა ამ საარჩევნო სისტემებს შორის და რას ჰპირდება თითოეული მათგანი ხალხს. იმედი ვიქონიოთ, რომ მოსახლეობა მხარს მაჟორიტარებს დაუჭერს. გეტყვით, რატომ მიმაჩნია ეს მართებულად: პროპორციული სისტემა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ინტერესშია. მოქალაქეს პროპორციული სისტემის დროს საქმე აქვს სიასთან. სიის თავში ლიდერი წერია და დანარჩენს ვის ვაძლევთ ხმას, არ ვიცით. მაჟორიტარული სისტემით კი თითოეული პარლამენტარი რაღაც ჯგუფის მიერ არის არჩეული და ისინი ხალხის წინაშე პასუხისმგებელნი არიან. თქვენ, ქალბატონი ბრძანდებით და შედარებისთვის ასეთ მაგალითს მოვიყვან: წარმოიდგინეთ, ქალი ისე გაგათხოვონ, ქორწინებამდე სიძე არ ანახონ, მარტო თქვან, რომ კარგი გვარიშვილობის კაციაო.





ანუ, გვარიშვილობაზე გაათხოვონ და არა კონკრეტულ ადამიანზე. ეს ხომ ძველი საუკუნეების გადმონაშთია. ქალი უნდა იცნობდეს მამაკაცს და თავად გადაწყვიტოს ეს პიროვნება მისთვის მისაღებია თუ არა. აი, ეს მეორე ვარიანტი მაჟორიტარული სისტემაა, ხოლო გვარიშვილობაზე გათხოვება — პროპორციული. როცა ადამიანს არჩევანს ერთი ლიდერის გამო აკეთებინებენ და ამ დროს პარლამენტში უამრავი უცნობი ადამიანი შეგყავს, ეს ჩემთვის მიუღებელია. ამერიკამ სწორედ ამ მოტივით აირჩია მაჟორიტარული სისტემა, რომ დეპუტატებს ამომრჩევლის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა ჰქონოდათ. მაჟორიტარულ სისტემაში, პარტიების მიხედვით, ხმები ისე სამართლიანად არ ნაწილდება, როგორც პროპორციულში. ამერიკამ, პარტიები ფეხებზე დაიკიდა. კიდევ ერთი: პროპორციულ სისტემაში მთავარი მოქმედი პირი არის პარტიის ლიდერი. იგი უნაწილებს კონკრეტულ ადამიანებს სიებში ადგილებს. მაჟორიტარულ სისტემაში პარტიის ლიდერი აღარაფერი არაა. ჩვენ პარტიულ ოპოზიციას თუ არ უნდა ივანიშვილი მართვის პულტთან დარჩეს, მას მაჟორიტარული სისტემა უნდა აწყობდეს, რადგან ასე ივანიშვილი როგორც პარტიის ხელმძღვანელი, უკვე გავლენას დაკარგავს. მაგრამ ოპოზიცია რეალურად ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ისინი ხომ ტყუიან ამომრჩევლის წინაშე. ხალხი თუ დაინახავს, რომ მაჟორიტარული სისტემით ლიდერების გავლენა პოლიტიკაზე შემცირდება და გადამწყვეტი გავლენა თავად ექნებათ, მგონია, რომ ხალხი მხარს მაჟორიტარულ სისტემას დაუჭერს. ნუ გაგვიკვირდება ისიც, რომ მაჟორიტარულ სისტემას ებრძვის როგორც ოპოზიცია, ისე თავად ხელისუფლება. სწორედ იმიტომ რომ ხელისუფლებასაც და დანარჩენ ნაწილსაც სურს, რომ პარტია იყოს გადამწყვეტი. დიახ, მათ უნდათ პარტიული ელიტა ფლობდეს სახელმწიფოში მართვის ყველა ბერკეტს. ხელისუფლებასაც პარტიის შენარჩუნება უნდა იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ელიტამ მართვის ბერკეტები არ დაკარგოს. ასე, რომ ამ პროცესს რაც ახლა მაჟორიტარებმა წამოიწყეს, კარდინალური ღირებულება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს მომავლისთვისაც და ქართველების პოლიტიკასთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ვნახოთ, რა მოხდება. თუკი პროცესი ამ მიმართულებით წავიდა, ეს საზოგადოებისთვის ბევრად ჯანსაღი და გამოსადეგი იქნება.

**— დაპირისპირება მწვავდება. მოვლენების რა განვითარებას შეიძლება ველოდოთ?**

— სამოქალაქო დაპირისპირება საარჩევნო პერიოდში ყოველთვის არის. თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ: გადაიზრდება თუ არა ეს სამოქალაქო ომში. დღევანდელ ვითარებას 90-იან წლებს თუ შევადარებთ, მაშინ მხარეებს შორის იარაღი გადანაწილებული იყო და ამიტომაც გახდა შესაძლებელი ეს დაპირისპირება ომში გადაზრდილიყო. დღეს, იარაღი ერთ მხარესაა — მხოლოდ ხელისუფლებას აქვს. სანამ ოპოზიციას იარაღი არ აქვს და იმედი ვიქონიოთ, რომ არც ექნება, იგი სამოქალაქო ომს ვერ წამოიწყებს.

**— ბატონო რამაზ, ოპოზიციამ პოლიციაზე ზეწოლა დაიწყო: ყველას გიმახსოვრებთ და დაგსჯით, ოჯახის წევრების არ გრცხვენიათ და ა.შ. 2003 წელს გიგა ბოკერია პოლიციელებს პატიმრების უფლებების დაცვისკენ მიუთითებდა, თუმცა როცა თავად ხელისუფლებაში მოვიდა ყველამ დავინახეთ მისმა გუნდმა როგორ დაიცვა პატიმრების უფლებები.**

— ნუ, თითქოს, შევეჩვიეთ, რომ პოლიტიკოსები ერთს ამბობენ და ხელისუფლებაში მოსვლისას სხვა რამეს აკეთებენ. შევეჩვიეთ ამას-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ეს არავის მოსწონს. როცა პოლიტიკოსი ორმაგი სტანდარტით მოქმედებს, ხალხი ყოველთვის უკმაყოფილოა. რაც შეეხება ზეწოლას, ეს პოლიტიკური ბულინგია. ანუ, ეს არის ადამიანის მიყვანა იმ დონემდე, რომ მას სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე ხელი აალებინონ. თუ გახსოვთ, 2003 წელს იყო ასეთი მოწოდებები: სახელმწიფოს ბრძანებები არ შეასრულოთო. ანუ, მაშინ „ნაცებს" სახელმწიფოს მოშლის სურვილი ჰქონდათ. უბრალოდ, მერე, მოვლენები მცირე დროში განვითარდა და სახელმწიფო აპარატის მოშლა აღარ იყო საჭირო. ახლაც, იგივეს იმეორებენ, ოღონდ, უკვე დაბულინგების საშუალებით. ანუ, მათი მიზანია სახელმწიფომ თავისი ფუნქციები ვერ შეასრულოს. ეს კონცეფცია შორეული პერიოდიდან მოდის. ბოლშევიკებიც იძახდნენ: რაც უარესი, მით უკეთესიო. ანუ, სახელმწიფოში უარესი მდგომარეობა, მათთვის უკეთესი იყო. იგივე პოზიცია აქვთ „ნაცებს". ისინი ფიქრობენ, რომ რაც უფრო უარესად იქნება სახელმწიფოში საქმე, მით უკეთესია მათთვის, რადგან ჰგონიათ: ასე მოსახლეობა ხელისუფლებას მხარს აღარ დაუჭერს და მათ მხარს გადავა. მეეჭვება, ეს სწორი ფორმულა იყოს. პირიქით, როცა მავანს სურს სახელმწიფო სისტემის მოშლა, მოსახლეობაში შეიძლება



გაჩნდეს გაღიზიანება არა სახელმწიფოს მიმართ, არამედ სწორედ მათ მიმართ ვინც სახელმწიფო სისტემა მოშალა. ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, „ნაციონალებს". რაც შეეხება ბოლშევიკებს ანდა 2003 წლის მოვლენებს, იქ, სახელმწიფო სისტემისმომშლელი პირები ჯერ კიდევ უცნობ ძალას წარმოადგენდნენ. ხალხმა არ იცოდა რა ხილი იყო არც ბოლშევიკები და არც 2003 წლისდროინდელი „ნაციონალები". ამიტომ, ამ განწყობილებას — სახელმწიფო მოვშალოთო, ნაწილობრივ აყვნენ კიდევ, რადგან ახალი ძალა მოდიოდა. მოვიდა ეს ახალი ძალა, გინდაც ბოლშევიკების და გინდაც „ნაციონალების" სახით და ხალხს მალევე სანანებელი გაუხდა. ამიტომ, დღეს იგივე აღარ განმეორდება, რადგან ხალხისგან სისტემის მოშლას ისევ „ნაციონალები" ითხოვენ. ამჯერად, ხალხმა კარგად იცის ეს რა ხილია. მათ, უკვე, მშვენივრად უწყიან: „ნაცების" წყალობით მოშლილი სისტემის მერე, ქვეყანა რა მდგომარეობაში ჩავარდა. ამიტომ, მეეჭვება, ხალხმა ამ გზას მხარი დაუჭიროს.

**— ბატონო რამაზ, „გამარჯვებისთვის" ერთად იბრძვიან „სირცხვილიას", „შეცვალეს" და „გაბედეს" ორგანიზატორები. ვინ არის ეს ხალხი და სინამდვილეში რა არის სირცხვილი, რა არის შესაცვლელი?**

— რა გითხრათ, პოლიტიკოსები კაბინეტურ გარემოში ფიქრობენ-ხოლმე რა არის შესაცვლელი და ისიც იციან მოვლენების როგორი მიმდინარეობაა ყველაზე ხელსაყრელი. შემდგომ, პარლამენტი ამას კანონების სახით ამტკიცებს. ეს გასაგებია. მაგრამ ქუჩიდან რომ მოგვეწოდებენ — შეცვალეთ და თან ისე, არც გვეუბნებიან: რა, რით უნდა შევცვალოთ, ეს ყოვლად გაუგებარია. კარგით, რა უნდა შეცვალო გასაგებია — ხელისუფლების ცვლილება სურთ, ხომ, მაგრამ რითი?! ვინ მოჰყავთ ხელისუფლებაში, ამას არ ამხელენ. ამიტომ, ჩნდება ეჭვი, რომ აქ, ისევ, „ნაციონალების" მოყვანაა დაგეგმილი. უბრალოდ, „ნაცებმა" იციან, მათი სახელის გაგონებაზე რა რეაქცია აქვს ხალხს და ამიტომაც გააჩინეს „კმარას" მსგავსი ახალგაზრდული ჯგუფები — „შეცვალე", „გაბედე" და ა.შ., რომელთაც ამოეფარნენ, ვითომ, თავად არაფერ შუაში არიან. ეს ახალგაზრდები ითხოვენ ცვლილებებს ისე, რომ ამის შინაარსი, ჯერჯერობით, გაშიფრული არ არის. სავარაუდოდ, არც გაიშიფრება. ცვლილებები კი არა, „ნაციონალები" სამოქმედო გეგმას ვერ აცხადებენ წესიერად. ოპოზიცია დაგვემუქრება: ორშაბათს გეტყვით სამოქმედო გეგმასო, თენდება ორშაბათი და დიდი-დიდი გეგმა არის სამშაბათს ან ოთხშაბათს მიტინგის მოწყობა. უფრო გრძელვადიანი გეგმა, რას რა მოჰყვება და როგორ იმოქმედებს სახელმწიფო აპარატთან დაპირისპირებიული ეს ძალა, არ არსებობს. განა მალავენ გეგმას, უბრალოდ, ასეთი რამ არ გააჩნიათ, რადგან ამის ინტელექტუალური რესურსი არ აქვთ. ქუჩაში შეცვალეს დაყვირებას დიდი ინტელექტი არ სჭირდება, მაგრამ სტრატეგიის შემუშავებას ინტელექტი უნდა, რაც ოპოზიციას არ აქვს.

**— ხელისუფლება კონტრაქციებს გეგმავს. შეიძლება დაპირისპირება უფრო გამწვავდეს?**

— რა თქმა უნდა, ასე შეიძლება დაპირისპირება გამწვავდეს, უბრალოდ, კონტრაქციის ორგანიზატორებს უნდა ეყოთ პოლიტიკური სიბრძნე და მეტოქე რაოდენობრივად დაჯაბნონ, რაც სავსებით საკმარისი იქნება. ხელჩართული ცემა-ტყეპა არათუ საჭირო არ არის, არამედ მავნებელია იმ ამოცანების გადაჭრისთვის, რასაც კონტრაქცია მიზნად ისახავს. მარტივ მაგალითს მოვიყვან: ლგბტ წარმომადგენლების პარადზე როგორც კი მამაომ ტაბურეტს წაავლო ხელი და ერთ-ერთ მათგანს ჩარტყმა დაუპირა, ანუ, ეს საგანი იარაღად გამოიყენა, იგი მაშინვე გამტყუნდა მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირი იყო. ანუ, როგორც კი ძალადობა იწყება, ვინც არ უნდა იყოს მოძალადე, იგი, გამტყუნდება. ამიტომ, კონტრაქციაზე თუკი ძალადობას მიჰყვეს ხელი, მოტივი რაც არ უნდა იყოს, ეს, უკვე, მისი გამამტყუნებელი არგუმენტი იქნება.

**— სამწუხაროდ, პოლიტიკოსებიც უწყობენ ხელს ძალადობის გაღვივებას. ეს ყველაფერი პარლამენტის შტურმიდან დაიწყო, გაგრძელდა პიკეტირებით, შემდეგ დამხობის მოწოდებით. რა იქნება ფინალი?**

— ფინალი, ალბათ, არჩევნები იქნება. ცოტა ხანს არჩევნების შედეგებზე იქნება ვნებათაღელვა, მერე ყველაფერი ჩაწყნარდება და ცხოვრება გაგრძელდება. ოპოზიცია ვადამდელ არჩEვნებს ითხოვს, მაგრამ ეს მათთვის უარესი იქნება იმიტომ, რომ პარტიები არჩევნებისთვის მომზადებას ვერ მოასწრებენ. საერთოდ, მოესწრება კი ვადამდელი არჩევნები? არის ამის შესაძლებლობა? გაზაფხული უკვე კარსაა მომდგარი, ზაფხული მკვდარი სეზონია და მერე, უკვე, ისედაც მოდის არჩევნების ვადა. ასე, რომ ვადამდელი არჩევნები აკვიატება და ჟინიანობის გამოვლენაა ისევ და ისევ ვითარების დაძაბვის მიზნით.

**— ბატონო რამაზ, ზოგადად, ერი ერთ აზრზე ვერ ვთანხმდებით — წაგებულ ომს გამარჯვებას ვეძახით, მარცხს — მოგებას, რუსთაველზე გასათბობად კლასიკოსების წიგნებს ვწვავთ. ასეთ საზოგადოებას განვითარების პერსპექტივა აქვს?**

— ნუ, თქვენს ჩამონათვალს კიდევ ბევრი რამ შეიძლება დაამატო: ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც საკმაოდ მაღალი მიგრაციის დონე აქვს; ძალიან დაბალია შობადობა; ნარკომანიამ არნახული მასშტაბები მიიღო; ქვეყნის საუკეთესო ნაწილი, ვისაც მუშაობა შეუძლია, მიგრაციაში მიდის; რეგიონები დაცლილია; ანუ, რეგიონებს იმდენად დაკარგული აქვთ ფუნქცია, რომ იქედან ადამიანები თბილისში გამორბიან. და რაც მთავარია, ჩვენ ვართ საზოგადოება, რომლის განათლების დონე მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილებზეა. აი, ამ საზოგადოებას თუ აქვს განვითარების პერსპექტივა, ამას მეკითხებით, ხომ? რა გითხრათ, ჯერჯერობით, პერსპექტივის გაჩენის იმპულსი ძალიან ცოტაა. სქემა რომელიც ლოგიკურს გახდიდა, რომ საქართველო, აუცილებლად, სწორი გზით განვითარდება და გარკვეული წლების მერე, იგი, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, ჯერჯერობით, ასეთი სტრატეგია არ გვაქვს.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# სააკაშვილი ივანიშვილს რომ ედავება, „გადაგვაგდოო“, თავისი პოლიტიკური აფიორები გაიხსენოს, „გადაგდების“ და თაღლითობის მეტი რომ არაფერი უკეთებია

***ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების შესახებ, გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობა „თორმეტიანელები ღირსეული საქართველოსთვის“ დამფუძნებელი, მწერალი მერაბ შათირიშვილი.***

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობა თავისივე შექმნილი საარჩევნო სისტემის პირობებში დამარცხდა, ასე რომ, თუ მომგები ხარ, პროპორციული სისტემით იქნება თუ მაჟორიტარული, ნებისმიერ შემთხვევაში მოიგებ.

2024 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება დემოკრატიულ აქტად კი შეფასდა, მაგრამ ქართველი კაცისთვის ეს შეიძლება არც იყოს დემოკრატიული და რატომ — ყველა პარტიას თავისი საარჩევნო სია აქვს, არჩევნების დროს ის ფაქტობრივად ისეთ ადამიანს შესთავაზებს ამომრჩეველს, რომ ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურ როლს თამაშობს. ამომრჩევლები ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ პარტიის ლიდერის ავტორიტეტზე არიან ორიენტირებული, ვინ ყავს მას სიაში, რამდენად ღირსეულ პოლიტიკოსებს აბარებს ამ სიით ელექტორატის ბედს, ეს არის გაურკვეველი. ფაქტობრივად ისეთი ადამიანები შეიძლება მოხვდნენ საკანონმდებლო ორგანოში, რომლებიც ხალხს დიდად არ ეპიტნავება. მოკლედ, პროპორციული სისტემით არჩევნების დროს, ხალხი, როგორც საკანონმდებლო ორგანოსთვის ლეგიტიმაციის მიმცემი, მაქსიმალურ როლს არ თამაშობს. მაჟორიტარული სისტემის დროს კი, როდესაც ნებისმიერი რაიონი, უბანი ან ქალაქი ირჩევს მაჟორიტარ დეპუტატს, იქ ხალხის როლი მეტად ჩანს, მხარდამჭერთა რაოდენობაში მჟღავნდება. თუ ხალხის ხელისუფლებას, იგივე საკანონმდებლო ორგანოს ვქმნით, ეს სისტემა უფრო მისაღებია. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რატომ არის „ქართული ოცნებისთვის“ პრიორიტეტი, 2024 წლისთვის პროპორციული წესით არჩევნები რომ დააკანონა, რატომ არ არის ხალხის აზრი გათვალისწინებული? რომ ამბობენ ხალხმა ისურვა ასეო, როდის გამოკითხეს, პირიქით, ხალხს რომ შეეკითხნენ, მათ მაჟორიტარული სისტემის უპირატესობაზე გააკეთეს აქცენტი. 2024 წელსაც რომ მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდება არჩევნები, ესეც „ქართული ოცნების“ შეცდომაა, რადგან ქართველი კაცის იდენტობა, ყოველთვის ავტორიტეტზე, ადამიანის გონიერებაზე მუშაობს. პატარა, ტრადიციების მატარებელი ერი ვართ, გვაქვს ჩვენი ღირებულებები და ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოს ფუნდამენტიც ზუსტად ეს ღირებულებები უნდა იყოს. პროპორციული არჩევნები ზუსტად ამ ღირებულებების გამანადგურებელია, ფაქტობრივად თავსმოხვეული, დასავლეთის წინაშე კეკლუცობა, ნახეთ როგორი ნოვატორული ქვეყანა ვართ, 2024 წლიდან პროპორციულ არჩევნებზე გადავდივართო. ამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას ერთი ამბავი რომ აქვს ატეხილი, დანაპირები არ შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა, რომ 2020 წელსვე უნდა ყოფილიყო პროპორციული არჩევნები, პარლამენტში კენჭისყრის დროს ვერ გავიდა ხმათა უმრავლესობით ეს ცვლილება და რა ქნას ამ ადამიანმა?!



პოლიტიკაშიც არსებობს სიამის ტყუპებისა და სტოკჰოლმის სინდრომის გამოვლინების ფაქტები, რისი მაგალითიც დღევანდელი ოპოზიციური სპექტრია, სხვათა შორის, ამას 2013 წლიდანვე, ვამბობდი, რადგან უკვე ვხედავდი საშიშროებას. მაშინ ორპოლუსიანობის შესახებ კრინტს არავინ ძრავდა, მათ შორის ეს ხუხაშვილები და სხვა სამოქალაქო აქტივისტები, იმიტომ, რომ კარგად „ქაფავდნენ“ ბიძინა ივანიშვილისგან სიკეთეებს და ხმას არ იღებდნენ. ეს რაღაც გაერთიანებული ოპოზიცია, რომლის მთავარი მედროშეც ნაცმოძრაობაა და ბიძინას ვითომდა „გადაგდებას“ ედავებიან, გადახედონ თავიანთ პოლიტიკურ აფიორებს. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, ასიათასობით ადამიანი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვდა, სააკაშვილმა კი საპრეზიდენტო არჩევნები შემოაგდო, მაშინ არ უნდა დაგვეთმო მიშასთვის და გვეპატიებინა ეს ტყუილი. ბიძინა ივანიშვილს ადვოკატად არ ვუდგები, მაგრამ ფაქტია, მან შეძლო 2012 წელს 9-წლიანი ჯოჯოხეთის მომტანი პარტია წელში გადაეტეხა. შემდეგ ვინც კანონით დასასჯელი იყო, დაისაჯა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის და შს მინისტრი სასჯელს იხდიან, სააკაშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და სხვა ნაცრინოსნები სს-ის პასუხისგებაში არიან მიცემული და ადრე თუ გვიან პასუხს აგებენ. სხვა რა უნდა ექნა ბიძინა ივანიშვილს, პარტია, რომელსაც არჩევნებზე 400.000-მა ადამიანმა მისცა ხმა, მიეყენებინა კედელთან და სათითაოდ დაეხვრიტა მისი წევრები? ბატონმა ბიძინამ თავისი მისია მეტნაკლებად შეასრულა, შენც თუ პოლიტიკური პარტია ხარ, რომელიც დღემდე გაჩუმებული იყავი და ახლა ნაცმოძრაობის გვერდით დადექი, დანარჩენი შენ გაგეკეთებინა. ისიც ხომ ცხადია, რატომ იყავით გაჩუმებული ეს ოპოზიციონერები, გეგონათ ბიძინა მოაშორებდა პოლიტიკური სივრციდან ნაცმოძრაობას და თქვენ ჩაგანაცვლებდა მეორე ადგილზე, ეს რომ არ გამოგივიდათ, ისევ ნაცებთან გაიქეცით? თურმე როგორ არ გაწია ბიძინამ ნაცები გვერდზე და არ უთხრა „პატრიოტთა ალიანსსა“ თუ ნინო ბურჯანაძეს, დამიდექით გვერდით, თქვენ იყავით მეორე ადგილზე, ანუ მთავარი ოპოზიციაო. ამათ უნდოდათ მთელი პოლიტიკური სპექტრი ბიძინას ემართა, მას გაეკეთებინა გადაადგილებები, ეს შეუძლებელია. ამ პოლიტპარტიებსაც კეთილი უნდა ენებათ ამომრჩეველთან, საზოგადოებასთან ერთად და მოეშორებინათ ნაცმოძრაობა. ეს პარტიები, ვითომ პროპორციული არჩევნების გამო რომ არიან შეკრებილები, ორპოლუსიანობაზე რომ გაჰყვირიან და თან გვსაყვედურობენ, რახან ბიძინას წასვლას ვითხოვ, ეს არ ნიშნავს რომ ნაცი ვარო. აბა ვინ ხარ? დღეს ფაქტობრივად ორი სერიოზული პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა, დავუშვათ, მმართველმა პარტიამ წააგო არჩევნები და ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, ნაცმოძრაობა შალიკოს მოუშვებს ხელისუფლებაში, ნინო ბურჯანაძეს თუ კოალიციურ ხელისუფლებას შექმნის ამათთან? ეს არის სრული ბლეფი. რა საარჩევნო სისტემა, ეს პარტიები იმიტომ გაერთიანდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნებასთან“ ყოველგვარი პოლიტიკური თანამშრომლობის იმედი გადაეწურათ და ახლა ცდილობენ სააკაშვილის ნაცმოძრაობასთან პოლიტიკური გაერთიანება მოხდეს, რომ რაიმე თანამდებობები მიიღონ.



**- ბატონო მერაბ, რაც პროპორციული სისტემის შემოღების საკითხი ჩავარდა, კოლექტიური ნაცები და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია არათუ აღარ ითხოვს, არამედ აღარც ახსენებს პროპორციულ არჩევნებს. „ნოვაციაც“ შემოგვთავაზეს, გერმანული მოდელი და მის დასამკვიდრებლად იღწვიან.**

- პროპორციული სისტემა უბრალოდ მიზეზი იყო დესტრუქციული ქმედებების დასაწყებად. მათმა ბელადმა ხომ ბრძანა კიევიდან, სისულელე იქნება მაგ სისტემაზე დათანხმებაო. მან კარგად იცის, ამგვარი სისტემა ნულოვანი ბარიერით და ბლოკებიც რომ არ იქნება, ძალიან მინიმალურ შანსს უტოვებდა ოპოზიციას. ესენი არჩევნებისთვის არ ემზადებიან, განა არ იციან 2020 წლის არჩევნებში ვერ გაიმარჯვებენ, უბრალოდ ამ არეულობითა და ქაოსით უნდათ როგორმე არჩევნებამდე მივიდნენ, შეინარჩუნონ ერთიანობა. იმედოვნებენ იქნებ ხალხი გადმოვიბიროთ, მობეზრდებათ ეს მუდმივი დაძაბულობა და ქაოსი, იქნებ რაღაც ხმები მაინც მივიღოთო არჩევნებში, რომ მერე ნაცებთან ერთად შელაგდნენ ხელისუფლებაში. 14 ნოემბრამდე, სანამ ხსენებული კანონი ჩავარდებოდა, რაც არ ეგონა ნაცმოძრაობას, მათი რუპორი ნიკა გვარამია ცალცალკე იბარებდა „მთავარის“ ეთერში პარტიულ ლიდერებს და „ფიცს“ ადებინებდა ხალხის წინაშე, სიტყვა მოგვეცით, რომ 2020 წელს კოალიციურ მთავრობას არ შეუქმნით „ქართულ ოცნებასო“. ე.ი. ნაცები ყველა ვარიანტში აპირებდნენ დესტრუქციული მოქმედების გაგრძელებას. ან ეს გერმანული მოდელი, გარდა იმისა, რომ ამ სისტემის შემოღება კონსტიტუციურად შეუძლებელია, სხვა ხარვეზიც ახლავს, რასაც „ინიციატორები“ ხალხს არ უხსნიან. ეს ხელისუფლებამ და მედიასაშუალებებმა მაინც უნდა გააკეთონ, მაგრამ ამ უკანასკნელთა ნაწილი, ხალხის დაპირისპირებას უფრო უწყობს ხელს. გერმანული მოდელი არ არის პროპორციული სისტემა, იქ 73-ზე გაცილებით მეტი მაჟორიტარი დეპუტატი გეყოლება და საბოლოო ჯამში, 150 კი არა, შეიძლება 250-კაციანი პარლამენტი მიიღო. ოპოზიციამ ეს ყველაფერი დანამდვილებით იცის, მაგრამ მაინც ეპოტინება მოდელს, რომ დესტრუქციული ქმედებების გასაგრძელებლად მიზეზი ჰქონდეთ. ამ კონტიგენტიდან, რომლებიც დღეს ნაცმოძრაობასთან ერთად გამოსვლებს აწყობენ, ერთს თუ მაინც დამისახელებთ, რომელიც სამშობლოს მოყვარულია, ყველას პირადი მერკანტილური ინტერესი ამოძრავებს, რომ როგორმე ხელისუფლებაში მოვიდეს. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ „ქართულ ოცნებაშიც“ ყველა პატრიოტია. არაერთხელ მითქვამს, რომ თუ გინდა „ქართულ ოცნებას“ პასუხი მოსთხოვო, ან ჩაანაცვლო როგორც პარტია, სანამ არსებობს



ნაცმოძრაობა, ამას ვერ მოახერხებ. ნებისმიერ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლის მიზანი და სურვილი რომ აქვს, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია, მაგრამ, როცა იცი ხალხის ნებითა და ძალით ვერ მოხვალ ხელისუფლებაში, ყველაფერი არ უნდა იკადრო იქამდე, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო.

ნაცმოძრაობას ჰგონია, რახან 2020 წელს „ქართული ოცნების“ მმართველობის ვადა იწურება, აუცილებლად უნდა შეიცვალოს. აშშ-ში ხომ დაუწერელი საარჩევნო მიდგომაა, რომ რვა წლის შემდეგ ხელისუფლება იცვლება. ნაცმოძრაობამ იცის, რომ ეს ნებით, დემოკრატიული გზით არ არ განხორციელდება, ცდილობს ქაოსით მიაღწიოს, რაზეც ამომრჩეველი, ქართველი ხალხი არ უნდა წამოეგოს. ისე, „ქართულ ოცნებასაც“ მოხშირებული აქვს სახელმწიფოებრივად გაუთვლელი ნაბიჯები, მოხდა 20 ივნისის პროვოცირება, მიუღებელია, რაც იმ ღამეს მოხდა, არავინ უნდა დაზიანებულიყო, ვინც ხალხი შეგნებულად დააზიანა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ნაცმოძრაობამ და მის გვერდით მდგომებმა ეს იმ ხალხს უთხრას, ვისაც არ გაუვლია 7 ნოემბერი, 26 მაისი, იმაზე რატომ არ ლაპარაკობენ რამდენმა დაკარგა თვალი და რამდენი გვამი იყო. 2009 წლის აპრილის აქციები გაიხსენონ. ვიღაცამ თქვა, სამი თვე იდგა პარლამენტთან კარვები და მათ არავინ შეხებიაო, რას ჰქვია არ შეხებიან, სულ იქ ვიყავი და ვიცი, ბადრი ბასიშვილის ზონდერჯგუფები ღამე რომ იპარავდნენ მომიტინგეებს და მათ ხან ტყეში ტოვებდნენ, ხან ცემაში კლავდნენ. გუბაზ სანიკიძე რომ გამოდის და იმუქრება, ემანდ არაფერი შეგეშალოთო, ნაცრეჟიმის დროს ემანდ რომ ეშლებოდათ და გვამებს სახურავებზე აწყობდნენ, დაავიწყდა? რატომ უნდა გადამდგარიყო ან უნდა გადაეყენებინა ბიძინა ივანიშვილსა და ქართველ ხალხს გიორგი გახარია? დაიღალა ხალხი ამდენი არეულობითა და სისხლის ღვრით, შევარდნაძის ხელისუფლებაც მართალია, ხალხის ხელშეწყობით, მაგრამ ფაქტობრივად ანტიკონსტიტუციური გზით იყო გაშვებული, რევოლუციად მონათლული სახელმწიფო გადატრიალება იყო. ერთადერთი „ქართული ოცნება“ მოვიდა არჩევნების გზით ხელისუფლებაში და ეს „გაერთიანებულები“ უკვე ცდილობენ არეულობით მოსვლას.

**— თავის დროზე ოპოზიციური სპექტრი, რამდენიმე პარტიის გამოკლებით კოალიცია „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებდა და ქირქილებდა, სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაკუწებისგან შეკერილ საბანს გავს, გაურკვეველი კომპონენტების ნარევიაო. ეს „ახალგაერთიანებულები“ კრიტიკოსებიც არ ემდურებიან „ფერთა“ სიმრავლეს.**

- პარტია, რომელიც ქაოსისა და აპრიორი სახელმწიფო გადატრიალებისკენ მიდის, ის არცერთ შემთხვევაში არ არის პოლიტიკური პარტია. ამ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციისას მაშინ ვირწმუნებ, როდესაც ისინი დასხდებიან და საარჩევნო პროგრამაზე დაიწყებენ მუშაობას, მაშინ შეიძლება ხალხის სიმპათიაც დაიმსახურონ და მხარდაჭერის შანსი გაუჩნდეთ, მაგრამ ამათ ეს არ უნდათ. ცდილობენ ასე დესტრუქციით მივიდნენ არჩევნებამდე, რითაც ვერავის დააზიანებენ, მაგრამ ვითომდა ევროპას აჩვენებენ, ნახეთ, ევროპული მენტალობის პარტიები გავერთიანდითო. ეს „ერთიანევროპულობაც“ ილუზია აღმოჩნდა, ბურჯანაძე შვილთან ერთად მოსკოვში წაბრძანდა, ამბობენ გრიგოლ ვაშაძეც მოსკოვს წავიდაო. საერთო მოთხოვნა რა აქვთ, როცა პროპორციულ არჩევნებს აღარ ითხოვენ, გერმანული მოდელის გარშემო რატომ და როგორ დაირაზმნენ სხვადასხვა მენტალობისა და იდეოლოგიის, განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პარტიები? ამ „დარაზმვის“ მექანიზმი, მიზეზი და საბაბი ის პოლიტიკური უმწეობაა, თითქოს ერთად ყოფნით ერთმანეთს აძლიერებენ და არასაარჩევნო, არაპოლიტიკური გზით უნდათ არჩევნებამდე მისვლა. როგორც გითხარით, არეულობა იმიტომ უნდათ, რომ წინასწარვე იციან ვერ გაიმარჯვებენ, წაგების „გასაპრავებლად“ იტყვიან, არჩევნები იმიტომაც წავაგეთ, ვიბრძოდით, ქუჩაში ვიდექით და „მოსამზადებლად“ არ გვეცალაო. ინგა გრიგოლიამ კითხა შალვა ნათელაშვილს, ივანიშვილს ასე რომ ლანძღავთ, პირველად თქვენ არ იწვევდით მას თანამშრომლობისთვის, პრემიერ-მინისტრობას სთავაზობდითო. შალიკომ, ეს ისე ვთქვი, ძალიან კარგად ვიცოდი ბიძინა არ დათანხმდებოდაო. რომ დათანხმებულიყო ივანიშვილი, ხომ გაუფენდა შალიკო ხალიჩებს?!. თქვენ გგონიათ ბიძინა ივანიშვილიც ისე რომ მოქცეულიყო ამ პარტიების მიმართ, როგორც ნაცმოძრაობა აკეთებდა, ფულს რომ უყრიდა, ყიდულობდა და კრიტიკულ მომენტში რაც უნდოდა იმას აკეთებინებდა, ეს პრემიერობის შემთავაზებლები არ დახარბდებოდნენ მის ფულს? „ქართულ ოცნებას“ რომ უკიჟინებენ ეს „დიდი“ პოლიტიკოსები, ნაცმოძრაობა ვერ გაიმიჯნაო, თქვენ გაანეიტრალეთ ნაცები როგორც პოლიტიკური ძალა. თუ მაგარი პოლიტიკოსები ხართ და სერიოზული პარტიები გყავთ, ჯერ ნაცები გაანეიტრალეთ და მერე „ქართულ ოცნებას“ მოსთხოვეთ პასუხი. რას ეკვრებით და ეტენებით ვიღაცებს და მერე ყვირიხართ, ნაცი არვაროო. ბიძინა თუ წავიდა, მე მოვალ ხელისუფლებაშიო, შენ როგორ მოხვალ, როცა ნაცმოძრაობას შენზე მეტი ამომრჩეველი ყავს და ფული აქვს, ედევნები მის ფულს და ამომრჩეველს და გინდა როგორმე 2020 წლის არჩევნებამდე მიხვიდე. შენ სამშობლო კი არ გიყვარს, უბრალოდ ამბიცია გაქვს ხელისუფლებაში მოხვიდე და კარგად იყო. ამ ოპოზიციას და ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა თითქოს მოსწრებაზეა, გეგონება ეს ქვეყანა მილევადია და ცდილობენ მაქსიმალურად წაიღონ რაც მოხვდებათ პირადი კეთილდღეობისთვის და არა საერთო ინტერესებისთვის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# საუკუნის ოცნება „ოცნებამ“ შეგვისრულა

იმერეთის რეგიონში, ხონის რ-ნი სოფელ ძეძილეთში, 21 ნოემბერს, მთავარანგელოზთა ხსენების დღეს, VII ს-ის ეკლესია აკურთხეს.

„ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა მთლიანად დააფინანსა ეკლესიის აშენება-მოპირკეთება. 21 ნოემბერი დიდი სიხარულისა და მადლიერების დღე იყო ხუთ სოფელში. ღმერთს სანთელს უნთებდნენ და ბატონ ბიძინას მადლიერებით იხსენიებდნენ, ლოცავდნენ. ამ ეკლესიის, მთავარანგელოზ მიქაელის ძალა მადლად მიიღო ჩემმა ოჯახმა. ჩემი უმცროსი შვილი ორივე მენჯ-ბარძაყგანუვითარებელი დაიბადა. ექიმებიდან იმედგადაწურული, ჩვილით ხელში, სალოცავად მივდიოდი დანგრეულ, მაგრამ უდიდესი მადლით შემოსილ ეკლესიაში და ღმერთს ინვალიდ შვილს ვავედრებდი. ისმინა უფალმა, მთავარანგელოზმა მიქაელმა, მისი მადლი შეეწიოს თქვენს ოჯახსაც. დღეს ჩემი 21 წლის სპორტსმენი ბიჭი ჯანმრთელია.

ბატონო ბიძინა, თქვენ არ ამბობთ, მაშინ ჩვენ ვიტყვით, რასაც აკეთებთ ჩემს გამზრდელ სოფელში და მის გამგეობაში შემავალ სოფლებში.

ვისურვებ ეს წერილი აკაკი ბობოხიძემ წაიკითხოს. წლებია დეპუტატად იყო, მაგრამ ძეძილეთსა და მის გამგეობაში შემავალ ხუთ სოფელში არაფერი გაუკეთებია. მე კი ქვემოთ მოგახსენებთ, რას აკეთებს ხელისუფლება და ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხალხისთვის.

მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს მდებარე სოფლებში: ძეძილეთში, გვაშტიბში, გელავერში, ღვედში, ნოღში, გორდში, კინჩხაში, ორაგვეთში, ბანგვეთა და რონდინში. რაც თავი ახსოვთ, კეთილმოწყობილი გზა არ ღირსებიათ. უფრო მეტად ის აწუხებდათ, რომ ხელის გაწვდენაზე მდებარე მეზობელ სოფლებში მოსახვედრად მდინარე ცხენისწყალზე საავტომობილო ხიდის უქონლობის გამო ასობით კილომეტრს გადიოდნენ.

უგზოობითა და ინფრასტრუქტურის არქონის გამო ხალხი ქალაქებში გადასახლდა. სოფლები დაცარიელდა.

როდესაც სოფელ ძეძილეთში ხონის რაიონის მერი ბატონი ლადო ჯურხაძე მობრძანდა. ხალხს სასიხარულო ამბავი – ასფალტბეტონიანი გზის მშენებლობა ახარა. არ დაუჯერეს. რას ამბობთ, ასეთ გზას ვინ გვაღირსებსო, — ამბობდნენ. არც ის დაუჯერეს პატიოსანი სიტყვითა და საქმით ცნობილ ბატონ ლადოს, რომ მდინარეებზე — ცხენისწყალსა და მეიაზე ბეტონიან ხიდებს აშენებდნენ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სოფლიდან ბიძაშვილმა გზის მშენებლობა მაცნობა. სოფელში სასწრაფოდ წავედი. ხალხი გახარებული დამხვდა. „ოცნებამ“ ჩვენი საუკუნოვანი ოცნება აგვისრულაო. გლეხებს გზის გაყვანის მიზეზით ჩამოჭრილ მიწებზე საკმაოდ კარგი საფასურიც გადაუხადეს. საქმის მკეთებელმა ხელისუფლებამ ათი სოფლის მკვიდრთა, პლუს ლენტეხის, ცაგერისა და ლეჩხუმის მაცხოვრებლების ურთულესი საკითხი — პირდაპირი და უმოკლესი გზა, გადაწყვიტა.

ახლა ამ სოფლებს კეთილმოწყობილი გზები აკავშირებთ ერთმანეთთან.

გზის მშენებლობამ სოფლიდან გაქცეული ხალხი უკან დააბრუნა. თუ ადრე მიწებს ყიდდნენ, ახლა ერთ გოჯსაც ვეღარ იმეტებენ. ხალხი ტურისტებისათვის საოჯახო სასტუმროებს აშენებს. დარწმუნებული არიან, მათი ეკონომიკური შემოსავალი გაიზრდება და სოფელიც მოძლიერდება. ხალხი მადლიერია. მეც გამოვხატავ მადლიერებას, რადგან სოფელ ძეძილეთში მამულიანი სახლ-კარი შევიძინე წლების წინ და ქალაქიდან უგზოობის გამო ხშირად ვერ ჩავდიოდი. ახლა კი სურვილი მაქვს მივატოვო დედაქალაქი და ბავშვობის კერას დავუბრუნდე.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სოფელ ყუმისთავამდე გაიყვანა გაზსადენი მილები. სჯერა სოფელ ძეძილეთის სათემო სოფლის მაცხოვრებლებს, რომ მალე ცისფერი ალი მათ ოჯახებშიც აინთება. გაზი ტყესაც გადაარჩენს და ჩვენც საოჯახო ტურიზმსაც ხელს შეუწყობს.

სოფელ ძეძილეთის ულამაზესი ბუნება, მდ. ცხენისწყლის ქვიშა საინტერესოა ტურისტებისათვის. ზაფხულში, თაკარა მზის გულზე, მდინარის პატარა კუნძული დაფარულია ფერად-ფერადი კარვებით. აქვეა „სათევზიის“ ჯერაც შეუსწავლელი გამოქვაბულიც.

80-იან წლებში ბატონი გოგი გიორხელიძის ხელმძღვანელობით მედიკოსთა ჯგუფმა შეისწავლა, როგორც მდინარის ქვიშის შემადგენლობა, ასევე გამოქვაბულის ჰაერიც. აღმოჩნდა, რომ ქვიშას აქვს ბალნეოლოგიური თვისებები. რაც შეეხება გამოქვაბულის ჰაერს, ის ასთმიანი ავადმყოფებისთვის წამალია.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემი და ამ სოფლის მაცხოვრებელთა სახელით ვთხოვთ მთავრობას შეისწავლოს სოფელში არსებული ეს ორი ბარნეოლოგიური განძი. ეს იქნება სოფლისთვის მუდმივი შემოსავლის, გამრავლებისა და გაძლიერების წყარო.

**გულინა გიორხელიძე**
597 67 61 02









# ვირთხა კანალიზაციიდან

ამ ხნის კაცი ვარ, ნახევარი საუკუნე მოვილიე, რა არ მინახავს, რა არ მსმენია, თავსაც ბევრი რამ გადამხდენია... ლამის ისიც კი ამოვხსენი, ცას რატომ არ აქვს კიბე, როგორ დებენ კანფეტში „პავიდლოს“, ვინ ღებავს მიწაში ბოლოკს, რატომ ისვრიან ქართველები კორპუსების ზედა სართულებიდან ნაგავს, რატომ ვერ ისწავლეს შუქნიშანზე გადასვლა, რატომ არ არსებობს ქვეყნიერებაზე სამართალი, მაგრამ ის ვერ ამოვხსენი, რა ცხოველია, რა წარმონაქმნია ნიკოლოზ ანზორის ძე გვარამია. გასაგებია, მესმის, როგორც ყველაფერი ცვდება, ასევე ცვდება, ინჯღრევა და ქრება ადამიანიც, მაგრამ ამნაირი დეფორმირებული არავინ და არაფერი მინახავს.

შეიძლება იფიქროთ, ნეტა შენა, მეტი საქმე არ გაქვს, ამ ქათამზე რომ ფიქრობ და ყურადღებას აქცევო? ჰო, ხალხო, ეგეთი აზრები მეც მომსვლია... თუმცა მოდით, ასე ნუ მივუდგებით საკითხს, 1933 წლამდე თითქმის მთელი გერმანია





დასცინოდა ადოლფ ჰიტლერს, მამამისიც კი იძახდა, ეს ბიჭი ჩემი ტრაგედიააო. როდესაც ადოლფის მამა გარდაიცვალა, გაუხარდა, დავისვენე, ველარ მცემსო. დედის გარდაცვალების შემდეგ ნახევარ დას ეჩხუბა, შე ძუკნაო და წავიდა სახლიდან. ერთი ხანობა მათხოვრად იქცა, ისევ დამ მოძებნა ბერლინის ვაგზალზე, ცოტაოდენი ფული გადასცა და თან მიაყოლა, შე უბედურო, რას ჰგავხარო? კარგახანს უძახეს ჭკვიანმა გერმანელებმა ჰიტლერს, რას ჰგავხარ, შე უბედუროოო? ამას ხელისუფლებაში რაფერ მოვუშვებთო? აგერ, ჩაივლის არჩევნები და ეს უდღეურიც გაქრებაო, მაგრამ... შემდეგ როგორც განვითარდა მოვლენები, ჩვენმა მამებმა, ბებიებმა და ბაბუებმა კი ნახეს. არა, მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, ქართველი ხალხი მსგავს შეცდომას არ დაუშვებს, უბრალოდ ვცდილობ, ამოვხსნა, რა ჭირთან გვაქვს საქმე და რა უბედურებამ დარია ხელი ჩვენი საზოგადოების მცირე ნაწილს, რომ კანალიზაციის ჭიდან ამომძვრალ ვირთხებს საშველად უხმობს. სხვათა შორის, აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ ვირთხებს კარგად აქვთ შესწავლილი როგორც ადოლფ ჰიტლერის სტრატეგია, ასევე მისი – „ნაციონალური პარტიის“ იდეოლოგია. დიახ, სწორედ იქიდან მოდის მუქარა: „ჩვენ ყველას მოგაკითხავთ“! თუ ნაცისტები ემუქრებოდნენ ებრაელებს, ყველას მოგაკითხავთო, ესენი ემუქრებიან (ამ ეტაპზე) პოლიციელებს, ყველას გიმახსოვრებთო, რათა გამოიწვიონ ძალოვნებში დემორალიზაცია. ამათ ჰიტლერის მიმდევართა იდეოლოგიიდან აღებული აქვთ ტაქტიკა – ჩვენ უკვე მოვედით, ეს ხელისუფლება დამთავრებულია, ბიძინა ივანიშვილი გასაქცევად ემზადება, გადმოდით ჩვენ მხარეს... და ასე შემდეგ. ესეც დემორალიზაციის შემოტანის მცდელობაა, ოღონდ უკვე ფართო მასშტაბით.

და მაინც... ვინ არის, საიდან გაჩნდა ნიკოლოზ გვარამია ჩვენს შორის? თქვენი არ ვიცი და... მე იმ ვირთხას მაგონებს, საკანალიზაციო ჭიდან რომ ამოძვრება ხოლმე და საკბილოს ეძებს. არ გინახავთ ასეთი ვირთხა? უუუჰ, ამერიკულ „უჟასურ“ ფილმებშია ხოლმე ხშირად. იცით, პირველად როდის ვნახე? 1980-იან წლებში, ვიდეო რომ ვიქირავეთ უბნის ბიჭებმა და მთელი ღამე ვკანკალებდით, გარეთ მოსაფსმელადაც ველარ გავდიოდით. ეს იყო პირველ ღამეს, შემდეგ ნელ-ნელა მივეჩვიეთ, გავაცნობიერეთ, რომ ეს იყო მხოლოდ ფილმი, გამოგონილი ამბავი, და არა რეალობა. ჰოდა, ესეც, ეს კანალიზაციის ვირთხაც გამოგონილი პერსონაჟი მგონია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და თემურ ალასანიამ შექმნეს ადოლფ ჰიტლერის იდეოლოგიაზე დაყრდნობით. სხვათა შორის, კობა დავითაშვილს აქვს მოყოლილი, ხელისუფლებაში რომ მოვედით, რამდენი მიხეილ სააკაშვილის კაბინეტში შევედი, ჰიტლერის „მაინ კამფ“-ს კითხულობდა, ყელში რომ ამომივიდა, ერთხელაც დავუმალეო. კი დაუმალა დავითაშვილმა ადოლფის წიგნი, მაგრამ იქნებ კიდევ იშოვა, ან იქნებ მოასწრო მისი იდეოლოგიის შესწავლა? პრინციპში, ან ერთი რამ ქნა და ან მეორე, მიშა მშვილდაძესაც კი ეტყობა ყროყინზე.

საიდან გაჩნდა ნიკოლოზ გვარამია? არსაიდან, უბრალოდ რაღაც მომენტში აღმოჩნდა სააკაშვილის არეალში და მან გამოძერწა ისეთივე ჩოილარად, როგორიც თვითონაა – დასვა გენერალური პროკურორის მოადგილედ, დასვა განათლების მინისტრად, დასვა იუსტიციის მინისტრად, სადაც აშკარად გამოაჩინა სადისტური მონაცემები. გაიხსენეთ ბადრი პატარკაციშვილის საქმე. თუ ის 2012 წლამდე, სანამ „ნაცმოძრაობის“ ნგრევა დაიწყებოდა, შეფუთული იყო შარვალ-კოსტუმში, შემდეგ უცებ გაშიშვლდა და საზოგადოების წინაშე წარსდგა შეშლილი სახით, ბებერი ვირთხა უცებ გადაიქცა რევოლუციონერ თინეიჯერად. თავიდან ცოტა თრთოდა, ტრაკს უფრო ნაზად ათამაშებდა, როგორც ჩანს, სიტუაციას „სმოტრავდა“, თან ერთი-ორჯერ პროკურატურაში დაიბარეს და ეგონა, გაამწესებდნენ ვირის აბანოში. არ გაამწესეს, ხელი არ ახლეს, გადაწყვიტეს, ციხე მისთვის ბაირამობა იქნებოდა, გარეთ უფრო უკეთესად შეიძლებოდა მისი გაგიჟება, ანუ „დასჯა“. გაუშვეს, ბოლომდე ააშვებინეს აფრები, საქართველოს ხელისუფლებამ არ გაიმეორა გერმანელების შეცდომა, როცა ადოლფ ჰიტლერი დააპატიმრეს 6 წლით და მდივანიც კი მიუჩინეს. მოკლედ, აიშვა ნიკოლოზ გვარამიამ, მოგვდგა და რა მოგვდგა – ყველას დაგიმახსოვრებთო, დედებს მოგიტყნავთო, ღვინოშიც ჩაგიფსავთო, მინერალურ წყლებშიცო, გვიტევდა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში და რაკი გაუვიდა, ახლა, საპარლამენტო არჩევნების წინ უფრო მოუმატა, უფრო აუწია ფითილს. ახლა ყოველდღე ჩაგვძახის, ყველას მოგაკითხავთო... გუბაზ სანიკიძემ დაამატა, მოგაკითხავთ ორლულიანი თოფებითო, ნახევარი მილიონი გამოვალთო. ესე იგი, ნახევარი მილიონი კაცი რომ გამოვა ორლულიანი თოფებით, ეს უნდა გავამრავლოთ ორზე და მივიღებთ მილიონ ლულას. მოდით, ვთქვათ სიმართლე, როცა ადოლფ ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ნამდვილად არ ჰქონდა მილიონი ლულა, სადღაც 300 ათას ლულას ითვლიდა. თუმცა, როდესაც ევროპა დაიპყრო და ფაბრიკა-ქარხნები ფაშისტური რეჟიმის სამსახურში ჩააყენა, იმდენი ლულა იშოვა, ველარც კი ითვლიდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგად გავშიფრე ნიკოლოზ გვარამიას წარსული, დღევანდელობა, მომავალი მიზნები და ამოცანები, მაინც ვერ გავიგე, რა ცხოველია თავისი გარეგნობით, ჰაბიტუსით, უნარებით, საქციელით, ტრაკის ქიცინით, მიხვრა-მოხვრით, პლასტიკით და ასე შემდეგ. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს პოლიტიკური მისწრაფებები, მიზნები, ამოცანები, შეიძლება ჰქონდეს გადახრები, გადმოხრები, იყოს უკიდურესად აგრესიული, მაგრამ მაინც შეინარჩუნოს ადამიანის სახე. აი, მაგალითად, ნიკოლოზ მაჭუტაძე (აღარაფერს ვამბობ სხვებზე) ხომ ლაპარაკობს ბევრს სირობას, ხომ არის სცენაზე შეუპოვარი, ხომ გასდის ხოლმე ბოლი უკანალიდან? გავა ტიპი განზე, წავა სახლში და ჩვეულებრივი ადამიანი გეგონება. ეს არა, ამან საერთოდ დაანგრია ჩარლზ დარვინის ევოლუციური თეორია, პირველყოფილამდელი ე.წ. ადამიანის ნატურაა, ეს ჩემისა.

ამას წინებზე გამოვიდა თავისი უბორნიის ეკრანზე ნიკოლოზ გვარამია – იკვნესა, იშავდღევა, თავისი ჭკუით აღსარება ჩაგვაბარა, მიედ-მოედო, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, თავისუფლების სიომ რომ დამიბერა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს რა იყოო, ერთი ხანობა „სკვაზნიაკი“ მეგონაო. არა, კარგი რამე რომ იყო, კი ვგრძნობდიო. სიჭაბუკის წლებში მიხეილ სააკაშვილს გადავეყარე და ვფიქრობ, ძაან გამიმართლა, ის თანამედროვე სამყაროსთვის მაჰათმა განდიაო. ბოლოს კი აღმოსთქვა გულისნადები... დავიტანჯეო, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, 10 წლის შვილი მომიკლასო. ვიფიქრე, წავალ აშუშუში, წავიყვან შვილებს და ოდესმე დავბრუნდებიო. თუმცაო, ოჯახში ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ არსადაც არ წავალთო, ჩვენ ომში ვართ და ამ ომს მოვიგებთო, ბიძინა ივანიშვილს ჩემი სამშობლოდან გავაგდებთო. ხალხო, გამოფხიზლდით, სამშობლოს ვკარგავთო. ჰო, გამოფხიზლდითო, ხალხო. ეს ხალხი კიდევ არ ფხიზლდება, ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ სამშობლოს კარგავენ. თუმცა, რომ ჰკითხო, როგორ კარგავენ, ვერაფერს გეტყვიან.

მოკლედ, დავიღალე იმის კვლევა-ძიებით, ვინ არის ეს ვირთხა, რომელსაც ქათმის „ზამაშკები“ და პატარა ჰიტლერის გამომეტყველება აქვს. ვერ გავიგე, საიდან მოვიდა, ვინ გააჩინა და რა უნდა.

სხვათა შორის, საქმე იქით მიდის, შეიძლება ნიკოლოზ გვარამია ბოლოს და ბოლოს გასკვანჩონ არაერთი ბრალდებით. ვნახოთ, ნუ გამოვრიცხავთ, შეიძლება პროკურატურამ მაინც გაარკვიოს, ვინ ჩემი ფეხებია და რა უნდა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „დემოკრატები შეშლილები არიან“

მსოფლიომ გასულ კვირას ორი ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნა. ზუსტად 70 წლის წინ შეიქმნა ნატოს ორგანიზაცია, ხოლო 30 წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უფროსმა და ყოფილ საბჭოთა კავშირის პირველმა და ბოლო პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა კუნძულ მალტაზე შეხვედრის შემდეგ სამყაროს „ცივი ომის“ დასრულების თაობაზე აუწყეს. დაიშალა ვარშავის ბლოკიც. ნატო კი კვლავ განაგრძობს არსებობას და მოღაწეობას.

ალიანსის პირველი შტაბ-ბინა ლონდონში იყო განთავსებული. სწორედ ამიტომაც სიმბოლურად ბრიტანეთის დედაქალაქ-



მა უმასპინძლა ნატოს 70 წლის მიძღვნილ საიუბილეო სამიტს. „მრგვალი“ თარიღის აღნიშვნის ღონისძიება დიდი ზარ-ზეიმის გარეშე რომ ჩაივლიდა, თავიდანვე იყო ცნობილი. აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურები გრძელდება. საფრანგეთში ერთ წელზე მეტია ე.წ. „ყვითელი ჟილეტიანების“ აქციებია, რომელსაც ახლა საპენსიო რეფორმების წინააღმდეგ პროფკავშირების პროტესტი დაემატა. დიდ ბრიტანეთში ამ კვირაში ვადამდელი არჩევნებია და გაურკვეველია გაერთიანებული სამეფოს მომავალი — დარჩება ევროკავშირში თუ დატოვებს ორგანიზაციას უცნობებია. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი პოლიტიკიდან წასასვლელად ემზადება, ვინ ჩაანაცვლებს უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ნატოს სამიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ი დაანონსეს — შესაძლოა ფრანგულ პროდუქციებზე. მათ შორის ღვინოზე და პარფიუმერიაზე საბაჟო გადასახადები გაზარდონ. ამ შემთხვევაში საფრანგეთის ეკონომიკა 2,5 მილიარდით დაზარალდება. საყურადღებოა, აგრეთვე მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მათი ექსპერტების გამოანგარიშებით, სავაჭრო ომების შედეგად, 2020 წელს მსოფლიოს ეკონომიკა 800 მილიარდი დოლარით დაზარალდება.

პოლიტოლოგებს განსაკუთრებით დონალდ ტრამპის და თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტოფ ერდოღანის ურთიერთობა აინტერესებდათ. მართალია, ლონდონში გამგზავრებამდე ორივე პრეზიდენტმა კომენტარი გააკეთეს, მაგრამ სრულიად სხვა საკითხებზე. „... ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ ალიანსის წევრობის გადასახადებზე, არასამართლიანია, რომ ბევრი ქვეყანა თავს არიდებს გადასახადებს“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. ერდოღანის შეფასებით ნატო სტრუქტურულ ცვლილებებს საჭიროებს, რომელსაც იგი ელოდება, ალიანსში არსებული უთანხმოება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბოლომდე ვერ უარყო — „... ალიანსში 29 ქვეყანაა გაერთიანებული. თავისთავად, ყველა განსხვავდებით ერთმანეთისგან და განსხვავებული აზრი გვაქვს“, —



განუცხადა ჟურნალისტებს ნატოს გენმდივანმა.

ლონდონში სამიტზე პირველი დონალდ ტრამპი ჩავიდა მეუღლესთან, მელანიასთან ერთად. „ნისლიან ალბიონზე“ ამინდთან ერთად ტრამპს პოლიტიკოსებმაც ცივი დახვედრა მოუწყვეს.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა დონალდ ტრამპის და საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის შეხვედრა. ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე აკრიტიკებდა ტრამპი ფრანგ კოლეგას მისი ხისტი გამონათქვამის გამო (ნატოს ტვინის სიკვდილზე). „...ნატო ყველაზე მეტად საფრანგეთს სჭირდება“ — აღნიშნავდა დონალდ ტრამპი ლონდონში ჩასვლამდე. პოლიტოლოგების შეფასებით, მაკრონი ისეთ სითამამეს იჩენს, როგორიც ევროპელ ლიდერებს ბოლო ათწლეულია არ გამოუჩენიათ. მიუხედავად ამისა, კრიტიკით განაწყენებულმა მაკრონმა, ტრამპთან პრინციპული კამათი მაინც ვერ გაბედა და კვლავ თურქეთს შეუტია. „... როგორ შეიძლება თურქეთი იყოს ნატოს წევრი ქვეყანა და შეიარაღებას რუსეთისგან ყიდულობდეს“ — უთხრა მაკრონმა აშშ-ს პრეზიდენტს. ყველასთვის მოულოდნელად დონალდ ტრამპმა ფაქტობრივად, თურქეთს დაუჭირა მხარი. „... ხომ არ გინდა დაიბრუნო სირიიდან ტერორისტები, რომლებიც საფრანგეთიდან არიან ჩასულები? სხვებიც გვყავს დაკავებულები, კარგები არიან, რამდენსაც გინდა დაგიბრუნებთ“, — უთხრა თუ კითხა ტრამპმა მაკრონს. მაკრონი თავდაპირველად შეცბა, არ მოელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, რამაც ტრამპი ერთობ გაახალისა. „...პირდაპირ პასუხისგან ასე ოსტატურად თავის არიდება პირველად ვნახე. ამიტომაც არის მაგარი“ — თქვა ტრამპმა.

ორივე პრეზიდენტი საერთო აზრზე შეთანხმდა — რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე ტერორიზმთან ბრძოლაში მიზანს ვერ მივაღწევთო, აღნიშნეს. ამის გარდა, ტრამპის განცხადებით, იგი აპირებს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დიალოგს. „...ყველაფერთან ერთად საუბარი შეიარაღების, მათ შორის ბირთვულ საკითხებზეც მექნება პუტინთან. დაველაპარაკები და მოვაგვარებ ყველა საკითხს“ — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

თურქეთის მიერ სირიაში განხორციელებულმა სამხედრო



ოპერაციამ, ალიანსის წევრებში აზრთა სხვაობა გამოიწვია. თავის მხრივ თურქეთი ქურთების ტერორისტებად აღიარებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერდოღანის განცხადებით, თურქეთი უარს იტყვის პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების დაცვაზე. არსებული პრობლემის მოსაგვარებლად საფრანგეთის, გერმანიის, ბრიტანეთის და თურქეთის ლიდერებმა მოლაპარაკება გამართეს. შეთანხმდნენ, რომ ტერორიზმთან საბრძოლველად ყველა მოქმედე-



ბა გამართლებულია. მიუხედავად ამისა, თურქეთის მუქარა კვლავ ძალაში რჩება.

ნატოს სამიტის მონაწილეთა საპატივსაცემოდ დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ II ბუკინგემის სასახლეში საზეიმო ვახშამი გამართა. დონალდ ტრამპმა კვლავ არაორდინალურობა გამოიჩინა — დედოფალთან ვახშამზე მთელი 40 წუთი დაიგვიანა, რითაც გააოცა საზოგადოება. სამეფო ოჯახი დონალდ ტრამპს ღიმილით შეხვდნენ, მაგრამ დაგვიანების გამო უკმაყოფილების დამალვა უჭირდათ, რადგან უპატივცემულობად შეაფასეს მისი არაპუნქტუალობა. ბუკინგემის სასახლეში ტელეკამერებმა დააფიქსირეს საფრანგეთის, კანადის და ბრიტანეთის მეთაურების საუბარი, რომლებიც ფაქტობრივად ჭორაობდნენ ტრამპის დაგვიანებაზე. განსაკუთრებით კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო აქტიურობდა. „...მან (ტრამპმა) იმიტომ დააგვიანა, რომ კიდევ ერთი ბრიფინგის გამართვა მოინდომა. ეს რომ გაიგეს, მის თანაშემწეებს ყბა ჩამოუვარდათ“ — ამბობდა ტრიუდო. მოგვიანებით ტრამპმა ტრიუდოს ირონიული საუბარი არ აპატია და გაკენწლა: „...ტრიუდო ცუდი ბიჭი არ არის, მაგრამ ნატოში დაწესებულ გადასახადს 20% არ იხდის, მიუხედავად იმისა, რომ ფული აქვს“.

ცივი დახვედრით და ირონიული საუბრით განაწყენებულმა დონალდ ტრამპმა სამიტი ვადამდე დატოვა. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ პირდაპირ გაემგზავრა შტატებში. გააუქმა ჩანიშნული შემაჯამებელი ბრიფინგი და არც ერთობლივ დეკლარაციის მიღებისთვის დაუცდია.

იმპიჩმენტის პროცედურის ანტრაქტი აშშ-ი დასრულდა. კონგრესის დაზვერვის კომიტეტმა გამოაქვეყნა ჩატარებული გამოკითხვების 300 გვერდიანი მასალები. დემოკრატების შეფასებით, მასალების მიხედვით აქვთ დონალდ ტრამპის გადაყენების საფუძველი, რესპუბლიკელები კი პრეზიდენტს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. კომიტეტის ხელმძღვანელის ადამ შიფის განცხადებით, ახლა გასარკვევია, ტრამპი უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელინსკიზე ზეწოლას გაპრეზიდენტებამდე ახდენდა თუ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ. ამიტომაც თქვა დონალდ ტრამპმა „...დემოკრატები შეშლილები არიან“. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. დემოკრატებმა კონგრესის სხდომაზე პირდაპირ განაცხადეს იმპიჩმენტის განხორციელებაზე და ტრამპის გადაყენებაზე თუ არ იჩქარეს, არჩევნებში დამარცხდებიან. „დროის გაწელვა ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს“ — განაცხადეს დემოკრატებმა.

ექსპერტების შეფასებით, ტრამპი დაიღალა დემოკრატებთან ლოიალური დამოკიდებულებით და ახლა თავად გადავა შეტევაზე. დონალდ ტრამპის პირადი ადვოკატი რუდი ჯულიანი უკრაინაში იმყოფებოდა, რომელიც ახლახან დაბრუნდა აშშ-ი. დონალდ ტრამპის განცხადებით, ჯულიანმა უკრაინიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალები ჩაიტანა, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს. ჯულიანი მასალების გასაჯაროებას კონგრესში, იურიდიულ კომიტეტის სხდომაზე, პროკურორის თანდასწრებით აპირებს. ამის გარდა, დაზვერვის კომიტეტში ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების მიუხედავად, რამდენიმე მოწმეს რესპუბლიკელები სიცრუეში ადანაშაულებენ. ამასობაში კი ტრამპის კონკურენტმა ჯო ბაიდენმა კიდევ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა — უხეშად მოექცა და ესაუბრა საკუთარ მხარდამჭერს ამომრჩევლებთან შეხვედრისას. ამიტომაც თქვა დონალდ ტრამპმა: „...რასაც ახლა დემოკრატები აკეთებენ ქვეყნისთვის არის საზიანო. რესპუბლიკელები ისე ერთიანები არიან, როგორც არასდროს“. სავარაუდოდ, იმპიჩმენტის პროცედურა კვლავ გაგრძელდება. რუდი ჯულიანი საკუთარი კლიენტის ინტერესებს, აშშ-ი არსებული ტრადიციებიდან გამომდინარე, კბილებით დაიცავს.

გია ბურდული
551 71 27 07

# ნაციონალი „მშვიდობის მტრედების“ სისხლიანი წარსული

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N42)

2009 წლის აპრილიდან ივლისამდე დაუდგენელი პირები დროდადრო თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ათეულობით აქციის მონაწილეს. მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ყველა ამ ფაქტს საერთო მახასიათებელი ჰქონდა — ღამით, ნიღბიანი მამაკაცების ჯგუფი თავს ესხმოდა აქციის მონაწილეებს, არა იმ ტერიტორიაზე სადაც დემონსტრაცია მიმდინარეობდა, არამედ ახლო მდებარე ქუჩებზე. ყველა თავდასხმა ერთი ნიშნით ხასიათდებოდა — თავდამსხმელების სამიზნე ხდებოდნენ ოპოზიციური პარტიების კონკრეტული წარმომადგნელები და აქტივისტები. ჩვენებებში ნათქვამია, რომ პოლიცია რეაგირებას არ ახდენდა მსგავს ფაქტებზე, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციელებს ადანაშაულებდნენ ძალადობის ფაქტებზე თვალის დახუჭვაში. 29 მაისს საღამოს 8 საათზე, როცა რუსთაველზე მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა, მათ მიმართ დაიწყო აგურების დაქვების მსროლელი რაზმეულის შეტევა ფურცელაძის ქუჩიდან. როგორც შემდეგ გამოირკვა, სამოქალაქო ფორმებში გამოწყობილი ეს ზონდერთა რაზმი, ნაწილობრივ მაინც, კუდ-ის თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, ყველა ის მოქალაქე, ვინც იმ ღამეს სხვადასახვა დაზიანებებით მიიყვანეს საავადმყოფოებში, სამედიცინო დაწესებულებებმა ისე სასწრაფოდ გაწერეს, რომ დაზიანებები არ დაუფიქსირებიათ, ხოლო „სპეცდავალების დროს დაჭრილი გმირი პოლიციელები“ კი ხელისუფლების წევრებმა ტელეკამერების თანდაწრებით პალატებში მოინახულეს. არავის უკითხავს, რატომ იყვნენ " გმირი პოლიციელები" სპეცდავალების შესრულების დროს უნიფორმის გარეშე და როგორ უნდა მიმხვდარიყო ოპოზიციონერი მოქალაქე, რომ აგურის ნატეხით შეიარაღებული და მისი მაგინებელი პირი პოლიციელი იყო. კიდევ უფრო სასტიკი იყო იმავე წლის 15 ივნისის აბსოლუტურად მშვიდობიანი მიტინგის დარბევა პოლიციის სამმართველოსთან. ეს იყო თავდასხმა მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ზურგიდან, მასიური სასტიკი შეტევა ქალებზე, ჟურნალისტებზე!. . აი, ამონარიდი „ჰუმან რაითს უოთჩის“ ანგარიშიდან: 2009 წლის 15 ივნისს რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები, რომელთა ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და ნიღბები ეკეთათ, თავს დაესხნენ აქციის მონაწილე ოპოზიციური ჯგუფების ახალგაზრდული ფრთის ათეულობით წარმომადგენელს, რომლებიც მშვიდობიან საპროტესტო აქციას აწყობდნენ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. სამართალდამცველები ათეულობით მშვიდობიან მომიტინგეს სასტიკად გაუსწორდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და არც აგრესიულად იქცეოდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ჟურნალისტი და ოპერატორი დაშავდა; ჟურნალისტებს ასევე წაართვეს აპარატურა (მოგვიანებით დაუბრუნეს). შედეგად დააკავეს 39 ადამიანი, ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ფრთის ხუთ აქტივისტს (მათ შორის დაჩი ცაგურიას) ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სხვები კი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ვახტანგ მენაბდე პოლიციამ სცემა, მიუხედავად იმისა, რომ მას სპეციალური ფორმა ეცვა „სახალხო დამცველის“ წარმომადგენლის ნიშნით. 2009 წლის ოპოზიციის აქციების შემდეგ სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ ზონდერბრიგადების გამოყენება სტრატეგიის რანგში აიყვანეს. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ სააკაშვილი ველარ გამოიყენებდა ისეთ მასიურ საპოლიციო ძალას, როგორც ეს მან 2007 წელს გააკეთა. ამით ის საკუთარ " დემოკრატის იმიჯს" საბოლოოდ დამარხავდა. ამიტომ მან გამოიყენა მცირე ზონდერჯგუფების და წერტილოვანი დარტყმების ტაქტიკა, ასამდე ოპოზიციონერი სცემეს, როცა ისინი მიტინგებიდან შინ ბრუნდებოდნენ, იყო შემთხვევები, როცა ეს ყველაფერი დაფიქსირებული იყო კამერებზე. მაგრამ არავინ არაფერი გამოიძია და უცხოეთის რამდენიმე უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშში დაფიქსირებულ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, მიშას და ნაცების პასუხი არაფერზე მოსთხოვეს. აღმოჩნდა, რომ მაშინ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ზონდერებმა გადაარჩინეს სააკაშვილის რეჟიმი. ხელისუფლებამ მოახდინა ზონდერბრიგადების სტრუქტურული ფორმირება — ლაპარაკობდნენ კოდუას, ბასიშვილის, ჯანაშვილის, რურუას, უდესიანის ზონდერბრიგადებზე. რომლებიც გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურებში, სადაც ხელფასს ვითომ ამ სტრუქტურაში გამგეობა, სპორტული კლუბი, არასამთავრობო ორგანიზაცია, სკოლა — სამსახურისთვის იღებენ, ხოლო მათი მთავარი დანიშნულება ოპოზიციური მიტინგების დაშლა და ოპოზიციის აქტივისტთა თუ ჟურნალისტთა მიმართ დაშინება და ძალადობა გახლდათ. 2011 წ. 3 იანვარს — ომის



გმირების მემორიალური სტელიდან ორიოდე ასეულ მეტრში და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა საპატიო კედლის ახლოს საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ვეტერანების აქციის დარბევა. ომის ვეტერანები აქციის დარბევიდან რამდენიმე საათით ადრე იმაზეც წუხდნენ, რომ რვადღიანი შიმშილობის შემდეგ, მათ ხელისუფლებიდან არავინ გამოხმაურებია. თავდაპირველად საპატრულო პოლიცი ის თანამშრომლებს მათმიმართ არ ჰქონიათ არანაირი წინააღმდეგობა და აგრესია, მაგრამ შემდეგ იქ გამოჩდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ზონდერბრიგადები, რომლებმაც ძალიან აგრესიული შეტევა დაიწყეს ვეტერანებზე. ძალთა განლაგება აშკარად უთანასწორო იყო, ვეტერანები და მათი გულშემატკივრები ოცდაათი, ორმოცი კაცი იყო, რომლებიც არანაირად არ კეტავდნენ ტრანსპორტის მოძრაობას, ხოლო ზონდერბრიგადები თავისი პატრულის ჩათვლით მათზე სამჯერ–ოთხჯერ მეტი. მათ საშინელი აგრესია გამოიჩინეს და სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან პროტესტანტებს. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა პოლიციელმა ოთარ გვენეტაძემ სახეში გამეტებით დაარტყა მიტინგის მონაწილე ეკა მათიაშვილს. ქალის ცემის ამ ფაქტზე, რა თქმა უნდა, ვეტერანებმა პროტესტი გამოხატეს და რამდენიმე მათგანი ზონდერებმა ცემეს. ანუ, უფორმო პოლიციელთა უკანონო, პროვოკაციულმა ქმედებამ გამოიწვია ვეტერანთა კანონიერი აქციის შეწყვეტა. ომის ვეტერანთა აქციის დაშლიდან ზუსტად ერთ საათში, ვარაზისხევში საქართველოს პრეზიდენტის ესკორტმა ჩამოიარა. ისინი მუქი მანქანების ჩაწყული მინებიდან ყურადღებით ათვალიერებდნენ გმირთა მემორიალის გასუფთავებულ ტერიტორიას. სავარაუდოდ, ვეტერანების აქციის დაშლა და ზონდერბრიგადების გამოყენება სწორედ მიხეილ სააკაშვილის პირადი მითითებით მოხდა. ნაციონალური მოძრაობის უნიღბო სახე საზოგადოებამ დაინახა სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან, რომელიც მართლაც იქცა ვარდოვანი ხელისუფლების იმ ტესტად, რამაც მათ ნიღაბი ჩამოხსნა და გამოაშკარავა. მანამდე 2004 წლის 23 ნოემბერს მოკლული ბუტას მკვლელები უტიფრად ამტკიცებდნენ შეთხზულ ზღაპრებს. 2007 წლის 7 ნოემბერი და იმედის დარბევა იყო წყალგამყოფი, რომელმაც დაასაფლავა მითი ამ ხელისუფლების დემოკრატიულობაზე. 2008 წლის გაყალბებული არჩევნები და რუსეთ-საქართველოს ომი იყო სააკაშვილის სრული კრახი, რომელმაც ეს ხელისუფლება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებასთვის შეუთავსებელ სიმსივნედ აქცია. ამის შემდეგ ერთადერთი გამოსავალი მიხეილ სააკაშვილის გადადგომა უნდა ყოფილიყო... 2011 წლის 26 მაისის ღამე გახლდათ მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის გაფორმება საქართველოს მოსახლეობის მოსისხლე მტრად, რომლის ხელისუფლებიდან მოშორება წარმოადგენდა ნებისმიერი ნორმალური მოქალაქის მიზანს. ნორმალურის და არა კაბის, მაკიაჟის მოყვარული კაცისარამსგავსი არსებებისთვის და იმ ხალხის შვილებისთვის ვისმა მშობლებმაც ნაცებთან აგენტობით, თანამემამულეების განადგურებით, მოპოვებული სისხლში გასვრილი ფინანსებით გაზარდეს შვილები და დღეს სისხლზე დაგეშილები ძალაუფლებისკენ მიეჭენებიან. ლეშზე დაგეშილ ნანუკა ჟორჟოლიანს „ოცნების“ კომპრომატების ძებნაში კერძოდ რომელ სოფელს არ აქვს წყალი, გზა... ავიწყდება მისი მკვლელი, გამომძალველი, ნარკომანი, გარეწარი ქმრად ყოფილის საგმირო საქმეები. სპეცდანიშნულების რაზმის ქვედანაყოფის ყოფილმა უფროსმა დავით დათოშვილმა, რომელიც, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოწმე, 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეზე დაკითხეს, განაცხადა, რომ უშუალო ბრძანება სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ერეკლე კოდუასგან მოდიოდა. აღნიშნულ საქმეზე ერეკლე კოდუას ბრალი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აქვს წარდგენილი. მთავარი მოწმის ჩვენებით გაირკვა, რომ თავისუფლების მოედანსა და რიყეზე აქციის დარბევის შემდეგ, მოვლენათა ეპიცენტრმა ტელეკომპანია „იმედში“ გადაინაცვლა, სადაც ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი კოდუა იყო. მოწმის განცხადებით, „იმედის“ აპარატურის დაზიანებისა და სიგნალის გათიშვის შესახებ, ბრძანება კოდუამ გასცა, რა დროსაც დაზიანება მიიღო იმედის არაერთმა თანამშრომელმა. არადა ნანუკა „რარიგ“ ამტკიცებდა კოდუას უდანაშაულობას 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების საქმეში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლონდონში ბადრი პატარკაციშვილთან შესახვედრად კოდუას ნანუკა და მისი თანამშრომელი დავით ჟვანია ახლდა. ჟვანიასთან კოდუას დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ერთად ნარნარებდნენ,“ იჩხერდნენ“, პატარკაციშვილის სიკვდილის შემდგომ ორივე სერიოზულად დაჯილდოვდნენ, როგორც ფინანსურად ასევე ჩინ-მედლებით. ჟვანიამ პოლკოვნიკის ჩინი „აირტყა“ ხოლო კოდუამ საოცნებო გენერლის. დიახ, მკვლელები ნაცხელისუფლების მიერ გულუხვად ჯილდოვდებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს „კაიფში“ მყოფი დავითი მეგობრის „დასახსნელად“ მუხიანის პოლიციის უფროსს მიუვარდა და იარაღის ტარით თავი გაუტეხა. პოლიციის უფროსის ცემამ „აღაშფოთა“ ვანო მერაბიშვილი და დავით ჟვანია სისტემიდან გააგდო. მართალია „საძუძგნავი“ ბიზნესი დაუტოვეს და ნარკოტიკიც მუქთად ჰქონდა, მაგრამ მაინც დაეძაბა კოდუასთან ურთიერთობა და სამუდამოდ დაცილდნენ. ჟვანიამ კოდუაზე უამრავი სიბინძურე იცოდა. კოდუას და არა მარტო, მიუვიდათ ხმები, რომ ჟვანია ემუქრებოდათ და პასუხმაც არ დააყოვნა სარწმუნო წყაროს ცნობით კოდუამ ის მოწამლული ნარკოტიკით დაადუმა... ცალკე თემაა კოდუას მიერ აღზევებული ლევან გურგენიძე რომელიც რევოლუციის გარიჟრაჟზე ტელევარსკვლავად იქცა, გვახსოვს, რა ამაყად დააპატიმრეს უდანაშაულო გია გვიჩიანი. შემდეგ იყო ესპანელ სამართალდამცველებთან ერთად ნადირობა იმ კანონიერ ქურდებზე რომლებმაც ნაცხროვას ხარკი არ გადაუხადეს... თუმცა „სოდმა“ გააკვირვა ესპანელები რადგან როცა მტკიცებულებებით ერთ-ერთი ქურდის სასამართლო პროცესზე უნდა ჩასულიყვნენ „ბრატკამ“ სოლიდური თანხა გადაიხადა, საიდანაც მილიონი ევრო ჯიბეში კოდუამ ჩაიდო. ესპანური სასამართლო მტკიცებულებების გარეშე დარჩა და „დამნაშავეც“ გაუშვეს. რა ვერ გაიყვეს ლევან გურგენიძემ და კოდუამ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია გურგენიძის გზა-კვალი ამ ამბების შემდეგ დაიკარგა... გვახსოვს ნაცხროვის მიერ ჩადენილი უამრავი სიბინძურე რომელსაც ასი ტომიც არ ეყოფა, მაგრამ არ გვახსოვს მსგავსი უტიფრები მონანიების ნაცვლად უწყლოდ დარჩენილ სოფელზე, წყლის ჭავლით დაშლილ მიტინგზე, დარდობდნენ როცა თვითონ, სისხლის მდინარეში აბანავეს მთელი საქართველო!

ვერ დაბრუნდებით. გვახსოვს!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



იცით, ჩემზე ამბობენ, რომ ძალიან ჭკვიანი ვარ. პრინციპში, არც ტყუიან, ამ ქვეყანაში ჩემზე ჭკვიანი არავინ დადის. ამას წინებზე თინამ წამომაძახა ჩხუბში, შენ თავი მართლა ჭკვიანი ხომ არ გგონიაო? ძაან გამიტყდა, ლამის დამენგრა მთელი ჩემი წარსული და რასაკვირველია, მომავალიც. თუმცა ისევ თინამ გამომიყვანა მდგომარეობიდან, მანვე აღმიდგინა კაცური კაცობა. რანაირად? ეეჰ, თქვენ რომ თინას იცნობდეთ ახლოდან, მაგ შეკითხვას აღარ დამისვამდით. როგორც კი შემატყო, ნირი წამიხდა, ეგრევე დამიყვავა, გეხუმრეო. მერე დააყოლა, ჩემო სიხარულოვო, ჩემო შეუდარებელოვო, ჩემო ჭკვიანოვო. არა, რააა, ქალი არ უდა დასვა სამზარეულოში, სანამ თავდაცვის მინისტრი იყო, ეგეთი რაღაცებისთვის არ ეცალა, შემოირბენდა ხოლმე "ბუშლატით", მხარზე გადაკიდებული მაუზერით, ერთ ლუკმას ატეხავდა და გარბოდა, ჯარი მზადყოფნაშია, პუტინს უნდა შევებრძოლოო. სამწუხაროდ, არ აცალეს, მოხსნეს და სწორედ აქედან დაიწყო ეგეთი ხუმრობები.

გამახსენდა — "ყოველთვის უნდა იყო იქ, სადაც დუღილია, ამ დროს მორალი, სინდისი და ნამუსი არ არსებობს". დიახ, ეს გახლავთ ჩვენი დროის არისტოფანეს მიერ თქმული ჭეშმარიტება, როცა მამული განსაცდელშია, რას მიქვია სინდის-მორალი? სხვათა შორის, ბატონი ლევანი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია, თავი გამიტოლოს, ოღონდ ლიტერატურის განხრით. რაც შეეხება პოლიტიკას, აქ ცოტა მოიკოჭლებს, პროგნოზის გაკეთება უჭირს, 2012-ში თქვა, ივანიშვილი 7 პროცენტზე მეტს ვერ აიღებსო და რაც აიღო, ხომ ნახეთ?

დავითი ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. დახედა, პაატა დავითაია რეკავდა. აუუუ, ახლა ამას ელაპარაკე გერმანულ მოდელზე, — ჩაილაპარაკა დავითმა



# ჭკვიანი უსუფა

## პოლიტიკური ნოველა



განა არ ვიცი, რომ ჭკვიანი ვარ? ვიცი, მაგრამ სიტყვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, თავდაცვის ყოფილი მინისტრისას. აგერ, დამირეკეს, მთელი ოპოზიციური სპექტრი ვიკრიბებით და შენღა გვაკლიხარო. დამიჯერეთ, სულსა და გულს ძალიან სიამოვნებს, როცა გეუბნებიან, შენღა გვაკლიხარ, გერმანული საარჩევნო მოდელი უნდა განვიხილოთო, ვერაფერი გაგვიგია, შენი გამჭრიახი გონება გვჭირდებაო. განა მე კი გავუგე რამე? თუმცა როგორ არა, გერმანული მოდელი ამტკიცებს, რომ 73+77 ყოველთვის არ არის 150. მოკლედ, მივედი, ვნახე, კინაღამ გული წამივიდა, ნინო ბურჯანაძის გვერდით გამომიყვეს ადგილი, მეორე მხარეს გიგა ბოკერია ეჯდა, კაი ხასიათზე იყვნენ. პრინციპში, განა რამე? უბრალოდ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი მომერიდა, სადღაც გულის კუნჭულში მაინც გაიფიქრებენ, პროამერიკელი კაცი პრორუს ბურჯანაძესთან რანაირად დაჯექიო? ბაჩუკი ქარდავამ გამიყვანა განზე — ბიჭო, ეს პუტინის მონა ბურჯანაძე არც მე მეპიტნავება, მაგრამ ეხლა მაგისი დრო არ არი, ივანიშვილი უნდა დავაგოროთ სოლოლაკიდანო. მივხვდი, წინააღმდეგობის გაწევას აღარ ჰქონდა აზრი და სხვათა შორის, ჩემი დიდი მასწავლებლის, ლევან ბერძენიშვილის შეგონებაც

და უხალისოდ ჩასძახა:

— ალიოოო.

— დავით, მე ვარ, ბიჭო, პაატა!

— ჰო, გიცანი, რა ხდება, მშვიდობაა?

— ამ დილას ნინო და გრიგოლი გაფრინდნენ მოსკოვში!

— რომელ მოსკოვში, რუსეთში?!

— ჰო, აბა, სხვა მოსკოვი სად არი?!

— ვაააა… როგორ დავჯდე ეხლა მე ამათთან?!

— კაი, რა, დავით, ჩვენ ხომ საგარეო ორიენტაციები არ გვაინტერესებს? — დაუწია ხმას დავითაიამ.

— ჰო, მაგრამ მე ხომ პროდასავლურს ვაწვები?!

— კი, აწვები, ეს მთელმა დუნიამ იცის და სწორედ ამიტომაც არ გკიდია, ქალბატონი ფქვილოვნა სად წავა?

აი, ამ წუთას მაცნობეს, რომ გრიგოლი არ წასულა მოსკოვში!

— უჰ, მადლობა თინას კი არა და… მადლობა განგებას! — ამოიხვნეშა დავითმა, — ისე, თინასაც უნდა ვკითხო, შეიძლება ისე აღშფოთდეს, საერთოდ ველარ გავიარო ლეიბორისტების ოფისთან!

— დაელაპარაკე, გაგიგებს, დარწმუნებული ვარ, — მიუგო დავითაიამ დავითს და დაემშვიდობა.

დავითი ისევ წაიღო ფიქრებმა. მეხსიერებაში ისევ ამოუტივტივდა დიდი მასწავლებლის, ლევან ბერძენიშვილის შეგონება: "დღეს აქ ხარ, ხვალ იქ იქნები, დღეს ამას ამბობ, ხვალ იმას იტყვი". გენიალური შეგონებაა, ჩემმა მზემ, სწორედ ახლა მჭირდებოდა ეს სიბრძნე.

— ვის ელაპარაკებოდი, ჩემო სიხარულობავ? — შემოგოგმანდა დავითის ოთახში თინა.

— გაერთიანებული ოპოზიციის კოორდინატორი იყო, დავითაია, მარტო თვითონ როა პარტიაში, — ჩაიცინა დავითმა.

— რაო, რა მინდაო, გერმანულ მოდელს ვერაფერი გავუგეთო?

— ნინო ბურჯანაძე წავიდა მოსკოვშიო.

— ვაიმეეეეე!!! — იკივლა თინამ.

— რა იყო, შე ქალო, რამ გაგიჟა ასერიგად?! — დასჭყივლა დავითმაც.

— უიმეეეეე!!!

— ქალო, დამშვიდდი-მეთქი!

— შენ ეხლა მაგის გვერდით უნდა დაჯდე?! — შემოიყარა დოინჯი თინამ.

— აბა, რა ვქნა?!

— მერე, ჩვენს ოჯახურ ორიენტაციას განა წყალი არ შეუდგება?!

— წყალი არა, ისა!

— რას იტყვის გაეროს გენერალური მდივანი?!

— ალბათ შეშფოთდება და გადაუვლის!

— რას იტყვიან დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში?!

— ვიცი, იქაც შეშფოთდებიან, მაგრამ ამჟამად მე ვხელმძღვანელობ ჩემი მასწავლებლის შეგონებებით, რომელიც ყოველთვის მეუბნებოდა, ხან ესა ხარ და ხან ისაო!

— ჰოოო… შენი მასწავლებელი იყო, 1989-ში რომ გირჩია, კომუნისტურ პარტიაში შედიო!

— ჰო, ეგ შეეშალა, მაგრამ მისი მეთოდი მაინც ყოველთვის ამართლებს!

— რას იტყვის ევროკავშირი?!

— კარგი რა, ეხლა მთავარია, ბიძინა გავუშვათ და რამე თანამდებობა დავითრიო კოალიციაში!

— უი, ჩემო კნუტო, თავდაცვის მინისტრად ხომ დამნიშნავ? — მოლბა თინა.

— მა რას ვიზამ? — ჩაეცინა ეშმაკურად დავითს.

— მაშინ გზა ხსნილია, შეგიძლია დაჯდე ნებისმიერთან, გაეროს, ევროკავშირს და თეთრ სახლს მე დაველაპარაკები, ავუხსნი, რომ ეს ის არ არის, რაც მათ ჰგონიათ.

— მე ყოველთვის მქონდა შენი იმედი! — შეჰყვირა დავითმა მშვილდაძისეულად.

— ერთი რა მაგის პასუხია, ჩემო კნეინავ და… აბა, გამოიცანი, ჭერზე რამდენი ბუზია?

— რამდენია და… ცხრა! — შემოჰკრა ტაში თინამ.

— არა, შვიდია!

— ჰო, ორი გაფრინდა, ქალი თავდაცვის მინისტრი ვიყავი, ცაზე რაკეტებ ვითვლიდი და ეხლა ბუზებ ვერ დავითვლი?!

— მოკლედ, სუ მიგებ, სიტყვა გაქ, ქვასა ჰხვრეტამს!

თინა ადგა, კალთა ჩამოიფერთხა, ოთახიდან გასვლა დააპირა. თუმცა წამით შეყოვნდა.

— არ მოგშივდა, ძვირფასო და სანატრელო?

— დღეს რა გვაქ?

— რავი, ბოზბაშიცა გვაქ და ჩიხირთმაც, კარგად ჩაკუწული სალათაც, მჟავეც, მწარეც და ტკბილიც.

— ჩიხირთმა უკეთესია თუ ბოზბაში?

— მე ჩიხირთმა მირჩევნია ინდაურის ბარკლითა.

— ჰო, მეც ეგრე ვფიქრობდი.

თინა გაკუსკუსდა. დავითი ისევ ჩაფიქრდა… ბოლო დროს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, გეგონება საკუთარ თავთან ატარებდა თათბირებს გერმანული საარჩევნო მოდელის თაობაზე. ისევ მასწავლებლის შეგონება გაახსენდა, საკუთარ თავთან თათბირი თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაატარო, რომ ჭეშმარიტება დაადგინოვო. აკი ატარებს კიდევაც? თან თვეში ერთხელ კი არა, თითქმის ყოველდღე. თუმცა არაუშავს, როცა მამული განსაცდელშია, ყველაფერი უნდა აიტანო… აბა, როგორ გინდა, დალოცვილო, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?! არც არავის.



გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# თეთრკანიანი ადამიანების რასა საქართველოში გაჩნდა, პირველი ევროპული სახელმწიფოც ევროპის კონტინენტზე ქართველებმა დააფუძნეს



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მკვლევარი კახაბერ ჭიღლაძე*

**— ბატონო კახა, როგორც ვიცი, პროფესიით იურისტი ხართ, თუმცა სულ სხვა მიმართულების წიგნების ავტორი ბრძანდებით. რას მივაწეროთ თქვენი დაინტერესება სამყაროში ქართული გენის კვლევის საკითხებით?**

— დედაჩემი ფილოლოგი გახლავთ. მისი გავლენით, ბევრს ვკითხულობდი. მაინტერესებდა ძველი ცივილიზაციების ისტორიები. ერთხელაც ისე მოხდა, რომ კუნძულ კრეტაზე მოვხვდი და საკუთარი თვალით ვიხილე მინოსური კულტურის ნაშთები. იქ ყველაფერი ქართული იყო, ქართულს და ქართველურს მაგონებდა ყოველივე, ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

**— რა იყო კრეტაზე ქართული და ქართველური?**

— ჯერ თვითონ კრეტელები. ისინი აღნაგობით მკვეთრად განსხვავდებიან ახლანდელი ბერძნებისგან. კრეტელები არც თვლიან თავს ბერძნებად, მათი წეს-ჩვეულებები, ენა, ტოპონიმიკა, ქართველურს ძალიან ჰგავს. მაგალითად, კრეტის დასავლეთ მხარეს, სადაც მინოსის სასახლე იყო, ლასითი ჰქვია, როგორც ლაზეთი. კუნძულის შუაში სვაკიას დასახლებაა, რაც ტოპონიმ სვანეთთან ასოცირებას იწვევს, არის ასევე ადგილი, სახელად ომალო. მთიანი ადგილია ომალო კრეტაზე და კულტურულად და ზნე-ჩვეულებებით აბსოლუტურად ჰგავს ჩვენებურ ომალოს. სხვათა შორის, ქონდარი იქაც ძალიან მიღებული სანელებელია, მეტიც, კრეტის ომალოში ქონდრის თაფლსაც ამზადებენ და ეს მათი, ასე ვთქვათ, ნაციონალური საკვებია.

გარკვეული დროის შემდეგ ესპანეთში წავედი და 11 წელი ბასკეთში ვიცხოვრე. გული მწყდება ზოგიერთი მეცნიერი ეჭვქვეშ რომ აყენებს ბასკი იბერიელების და ჩვენს ერთიან წარმომავლობას, ამტკიცებენ, ვითომ რომაელებმა დაგვარქვეს იბერიელები, არადა, ეს სრული აბსურდია — რომაელებამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ იბერიელები კავკასიაში.

მაგალითად, „ბრიტანიკაში“ წერია, რომ პირენეებიდან წამოსული იბერიელები შევიდნენ ბრიტანეთის ნახევარკუნძულზე და შექმნეს დიდი კულტურა. იბერიელები ჩვ.წ.აღ.-მდე 2500 წლით ადრე შევიდნენ ბრიტანეთის ნახევარკუნძულზე. აღმოსავლეთელი ეტრუსკები იბერიული ტომები იყვნენ და არა ინდოევროპული და ბინადრობდნენ ლიგურიაში, რომელიც ახლა იტალიას ეკუთვნის. კიდევ კარგი ახლა წამოგვეშველა გენეტიკაც, რომელიც პირდაპირ ამბობს: G1 და G2 ჰაპლოჯგუფის ხალხი კავკასიაში ჩამოყალიბდა, რომლებმაც განიცადეს მიგრაცია ანატოლიის გავლით, ჩავიდნენ კრეტაზე და ჩამოაყალიბეს პირველი მინოსური სახელმწიფო, ანუ ევროპის პირველი სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში.

**— ბატონო კახა, რამდენი ხანია, რაც კვლევებს აწარმოებთ?**

— 2002 პირველი ნაშრომი დავბეჭდეთ მე, დედამ და დეიდამ. ნაშრომი ეხებოდა ძველბერძნულ კულტურას. ჩემს კვლევებში ძირითად აზრად დევს ის, რომ ჩვენ ვართ კავკასიის აბორიგენი ერი. აქ წარმოიშვა თეთრკანიანი რასა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღევანდელ მსოფლიო ცივილზაციაშიც უდიდესი როლი აქვს საქართველოს და ქართველებს.

მოგეხსენებათ, ევროპული სახელმწიფოები მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები არიან, ხოლო ამ ქვეყნების უძველესი ფესვები სათავეს კავკასიაში იღებს.

ჰაპლოჯგუფი R1B, და G2 და GEY2 კავკასიურია. ეს აღიარებულია მსოფლიოს ცნობილი მეცნიერების მიერ.

ბოლოდროინდელი კვლევებით, ჰაპლოჯგუფი G2A კავკასიაში ჩამოყალიბდა და მიწათმოქმედების შემქმნელი ხალხის გენეტიკური კოდია. ესენი არიან დასავლეთ საქართველოს მთიანეთის უძველესი მაცხოვრებლები. მათ მიერ წარმოიშვა მიწათმოქმედება. მოგეხსენებათ, მიწათმოქმედებაზეა აგებული შემდგომ ყველაფერი. მონადირეს ნაკლებად აქვს შექმნილი კულტურულად რაიმე ღირებული. აი, მიწათმოქმედს კი ყველაფერი კულტურაზე აქვს აგებული.

დღეს შემოქმედის, კულტურულის და კულტურის მიზანმიმართული ჩაგვრა-განადგურება მიმდინარეობს. როგორც შემოქმედის, თუნდაც რელიგიური თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, როგორც ბოროტის და კეთილის, ეშმაკისა და ღმერთის, ანუ აპოკალიპტური დაპირისპირების თვალსაზრისითაც, და თუნდაც აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოქმედის, ღმერთის ხალხი ვართ. ვინც არაფერს ქმნიდა, მხოლოდ ნადირობდა და მტაცებლობდა, იმას არაფერში არ სჭირდებოდა ყოფილიყო რაიმეს შემოქმედი და შემქმნელი.

**— გამოდის, რომ ორ ტიპად იყოფა კაცობრიობა — შემოქმედ ხალხად და მომხმარებელ ხალხად.**

— დიახ და ჩვენ ვართ შემქმნელები. მომხმარებლები აწარმოებენ ომებს, იტაცებენ, გლეჯენ. ასე არსებობენ და მდიდრდებიან...

მეტიც, ანბანი ჩვენგან არის გავრცელებული მსოფლიოში, მიწათმოქმედების იარაღები და ა.შ. ბევრი რამ, რაც გონებასთან და აზროვნებასთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება რელიგიას, ბერძნებმა რაც ვერ გაიგეს ჩვენგან, მითოლოგურ საბურველში გაახვიეს. ძალიან დიდხანს მსოფლიოსაც ტროა მითოლოგური ქალაქი ეგონა. ასევე, მეფე მინოსის არსებობაც მითოლოგიად ითვლებოდა, სანამ მე-19 საუკუნის ბოლოს კრეტაზე მინოსის სასახლე არ აღმოაჩინეს, რითაც დამტკიცდა, რომ მეფე მინოსი მეფე აიეტის დის ქმარი იყო. ე.ი. მინოსი არსებულა, მაშინ მისი ცოლი რანაირად გამოდის მითიური არსება? მედეაც რეალური ადამიანი ყოფილა და აიეტიც რეალურად მეფობდა თავის უძლიერეს სახელმწიფოში, პასიფაეც რეალური ადამიანი ყოფილა, არიადნეც და სხვებიც.

დიახ, ესენი მართლაც ზებუნებრივი ადამიანები იყვნენ, ხოლო მოძალადე ბერძნებმა კოლხეთის შესახებ ინფორმაციები მითოლოგიური ფორმით გადმოსცეს, თხრობის ფორმა იყო მაშინ ასეთი, როგორც „ილიადა და ოდისეა“, როგორც პოეტურ-ალეგორიული პანეგირიკა.

**— მედეას ისტორიაში, ეს მეფის ასული აძინებს გველეშაპს, შელოცვას უკეთებს იაზონს, „აჯადოებს“ ხარებს და ა.შ. სავარაუდოდ, მედეას კარგი სკოლა ექნებოდა გავლილი, ანუ აქ არსებობდა სერიოზული სკოლა. შეიძლება საქართველოში საიდუმლო ცოდნა დღემდე ინახებოდეს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ, თავიდან დავიწყოთ: თუკი პირველი თეთრკანიანი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა, გამოდის, რომ საქართველო რაღაცით გამორჩეული ადგილი ყოფილა დედამიწაზე.

როგორც ვიცით, ხვამლის მთაზე ახლახან აღმოაჩინეს პიქტოგრამები, რომელზეც ისეთი ნიშნებია დატანილი, რომ მათი წარმოშობა 5006 წელს მიუთითებს და ეს პირდაპირ აღნიშნავს, ქართული წელთაღრიცხვის დაწყებას, არადა, ქართული და შუმერული წელთაღრიცხვა იწყება ასე: ადამს აქეთ 5604 წელი, ანუ ქრისტემდე 5604.

**— ისევ კაცობრიობის ცივილიზაციას რომ დავუბრუნდეთ, ვინც კავკასიაში არ გაჩნდა, მათ არ სჭირდებოდათ გონებრივი განვითარება? პროდუქტს ხომ მოთხოვნილება ქმნის?**

— გასაგებია, მაგრამ მათ უძველეს დროში ვერ შექმნეს ჩვენნაირად ღირებული ვერაფერი. მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ჩვენი დამსახურებაა, რაც ნიშნავს, რომ ისინი არიან სხვა ადამიანები და ჩვენ ვართ სულ სხვა. ფიზიკურად რომ ვგავართ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ასე მაიმუნიც ჰგავს ადამიანს.

**— დარვინიზმს უარყოფთ...**

— დარვინი რომ ცდებოდა, ეს გენეტიკამ უკვე დაადასტურა. სამყაროს შემოქმედი, წარღვნამდელ და წარღვნისშემდეგ პერიოდში, ადამის პირდაპირ შთამომავალს საქართველოს ტერიტორიაზე ამკვიდრებს, ადგილზე, რომელიც ბევრი გადმოცემით და თქმულებით, მიწიერი სამოთხეა დედამიწაზე.

**— უნდა ვირწმუნოთ ეს, რადგან გვიხარია და ვამაყობთ ასე რომ არის?**

— მხოლოდ ჩვენს სიხარულზე არაა დამოკიდებული. **პური და ღვინო საქართველოდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში, თეთრკანიანი ადამიანის სამკვიდრო საქართველოა, მეტალურგია საქართველოდან იღებს სათავეს, საკრალური ცოდნის აკვანი ძველი კოლხეთია, სიბრძნის სიმბოლო აიეტი და მედეას ცოდნა და ა.შ. ანუ ადამიანის უმაღლეს მენტალურ საფეხურზე ასვლა, მედეას და მამიდამისის „ჯადოქრობა“ მესამე თვალის არსებობას ამტკიცებს. ეს არ არის გამორჩეულობა?** მით უფრო, რომ თანამედროვე მეცნიერებმა ახლახან დაამტკიცეს ადამიანის ტვინში არსებული გირჩისებრი ჯირკვლის თაობაზე, რომელიც ისეთი უნარების გააქტიურებაზეა პასუხისმგებელი, როგორიცაა, მაგალითად, ტელეპათია, ინტუიცია, სხვისი აზრების წაკითხვა, ადამიანის კავშირი ადამიანთან გონებრივი გზით, ტერიტორიის მიუხედავად — ამ კონტინენტიდან იმ კონტინენტზე და ა.შ.



მედეა

მედეას ეს ცოდნა რეა კიბელესგან ჰქონდა. როგორც ჩანს, რეა კიბელე თვითონ იყო უდიდესი მკურნალი და დიდი ცოდნის მატარებელი, საქართველოში ოდითგანვე და აგერ, ვახტანგ VI-მდე არსებობდა საიდუმლო საკრალური სამედიცინო-ოკულტური ცოდნა, რომელსაც, სხვათა შორის, ჰიტლერიც ეძებდა სვანეთის მთებში.

სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწასთან ერთად იკარგება ის უნიკალური კარაბადინი, რომელიც, მოიცავდა საუკუ-



პირენეის გურია.1927 წ.

ნეებით ნაგროვებ ცოდნას. მეფემ წაიღო ეს წიგნი რუსეთში და მას მერე წიგნი უკვალოდ გაქრა.

**— ვინ კრეფდა ამ ინფორმაციებს წიგნად, რა კატეგორიის ადამიანები იყვნენ ისინი?**

— ეს არ ვიცით, მაგრამ მე 2017 წელს ვთარგმნე გრაფი ვალევსკის წიგნი „კავკასიური იოგა", სადაც პირდაპირ არის მოცემული, რომ საქართველოში იყვნენ ე.წ. განდობილები, რომლებიც უძლიერეს შესაძლებლობებს ფლობდნენ.

**— განდობილები ვინ იყვნენ?**

— ეს ის ადამიანები გახლდნენ, რომელთაც ღმერთი, ანგელოზები თუ რაც გინდათ დაარქვით, ზეციური, ზებუნებრივი ძალები ენდობოდნენ და უზიარებდნენ იმ არაამქვეყნიურ ცოდნას, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის მიუწვდომელი და დაფარული იყო.

**— რა ნიშნით არჩევდნენ განდობილებს?**

— ეს არავინ იცის. სავარაუდოდ, შინაგანი სინათლის, სიწმინდის გამო.

**— გრაფი ვალევსკი განდობილი იყო?**

— არა, გრაფი ანტიკვარიატის შეკრებით იყო დაკავებული, საკუთარი მაღაზიებიც ჰქონდა ნიუ-იორკში და იოგით გახლდათ დაინტერესებული. როგორც ჩანს, მან მიაღწია გარკვეულ დონეს იოგაში და ტიბეტში გაემგზავრა, სადაც ლამებმა უთხრეს: თუ გინდა სრულყოფილებას მიაღწიო, კავკასიაში წადიო. ეს ხდება მე-20-ის დასაწყისში. იქაურ ბერებს ქართველ განდობილებთან ტელეპათიური კავშირები ჰქონდათ და ჩვეულებრივად კონტაქტობდნენ ისე, რომ ტიბეტელმა ლამებმა ქართველ განდობილებს კაცი გამოუგზავნეს და ამათაც ჩვეულებრივად მიიღეს იგი.

**— სად მიიღეს, საქართველოს რომელ ტერიტორიაზე?**

— სვანეთში.

ვალევსკის სვანები ჰყავს ამ წიგნში ნახსენები და ჩერქეზები, თუმცა სახელები და გვარები არა, რადგან მათი დაკონკრეტება არ შეიძლებოდა.

გრაფს ბორჯომის ხეობაში ჰქონდა სახლი ნაქირავები, საიდანაც დადიოდა სვანეთში. ვალევსკის ჩანაწერები შემდეგ კებ-მ წაიღო და მერე უკვე წიგნად, 1955 თუ 56 წელს, ნიუ-იორკში გამოიცა. ვალევსკის წიგნის გამოცემა არც ჰქონდა ჩაფიქრებული, ჩანაწერებს თავისთვის აკეთებდა, ჩვენმა განდობილებმა მას, არაქართველ ადამიანს გადასცეს უდიდესი ცოდნა და გაუშვეს. არ ვიცით, რა ნიშნით აირჩიეს გრაფი, თუმცა მას მისცეს ის, რაც შვილისთვისაც კი არ ემეტებოდათ. ვალევსკიმ ჩანაწერები გააკეთა 1920–22 წლებში, 1955–56 წ. ჩანაწერები წიგნად გამოიცა და ვალევსკი გაურკვეველ ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა. ბევრი ვერსიაა მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

**— რა ვითარებაში გარდაიცვალა არც ესაა ცნობილი?**

— არა, არც ეს.

საეჭვოდ ემთხვევა წიგნის გამოცემა და მისი სიკვდილი. დანარჩენი არაფერია ცნობილი.

**— რა წიგნია ეს და რა არის მასში გადმოცემული?**

— ამ წიგნიდან ჩანს, რომ ქართველმა განდობილებმა ვალევსკის გააცნეს ინფორმაციები სიცოცხლისა და სიკვდილის წიგნიდან.



რეა კიბელე. აიეტის და



მინოსის სასახლე

—??

— დღემდე ბევრი რამ კითხვის ნიშნის ქვეშაა, თუმცა ვიცით ის, რომ ეგვიპტეში ფარაონებს ჰქონდათ „სიკვდილის წიგნი", სადაც გადმოცემულია ადამიანის სიკვდილისშემდგომი მდგომარეობა. ანუ სიკვდილისა და სიცოცხლის წიგნში მოცემულია სიცოცხლის შესახებ, საიდან მოდის, როგორ, რატომ და რა მიზნით ადამიანი დედამიწაზე და რა ხდება სიკვდილის მერე.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

(გაგრძელება იქნება)

# მასწავლებელი თვითონ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი

სტატიისათვის სათაურად მოხმობილი ეს ცნობილი ციტატა მცირედ შევცვალეთ, რათა თავისი ამაღლებული შინაგანი მრწამსითა და ხანგრძლივი, უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეული კონკრეტული პიროვნებისათვის მიგვესადაგებინა. ეს პიროვნება გახლავთ ქალაქ თელავის მკვიდრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი — ქალბატონი ლამარა იანვარაშვილი.

გარდა ამ ოფიციალური რეგალიებისა, ქალბატონ ლამარას ბიოგრაფიას ამშვენებს გრძელი სია მისი საზოგადოებრივი მსახურებისა თუ საქველმოქმედო საქმიანობისა.

ლამარა იანვარაშვილი, გარდა როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის მიერ პეროიდულად გამოქვეყნებული სტატიებისა, არის ავტორი 2014 წელს გამოცემული მხატვრული ესეებისა, მოგონებებისა თუ სამეცნიერო სტატიების ძალიან საინტერესო კრებულისა —„ ვედრება". აქ მან, ხანგრძლივი და წარმატებული პედაგოგიური სტაჟის პატრონმა, ღიად, ყველასათვის ადვილგასაგებად გამოხატა თავისი მრწამსი ყრმათა აღზრდის რთულსა და მარადიულ საკითხებზე.

2007 წელს მან რუსულიდან თარგმნა ჰუმანური პედაგოგიკის უდიდესი მოაზროვნის — პროფესორ შალვა ამონაშვილის — ფრიად საგულისხმო წიგნი —„ ამინ რა, ლეგენდა ქვის შესახებ". წიგნში იმდენად ღრმა სააღმზრდელო ქადაგებებია მხატვრულ ქარგაზე ასხმული, რომ სიტყვაში გამოსულმა მომხსენებლებმა მას,„ ყრმათა სახარება" უწოდეს. როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნი საუკეთესო საკითხავად იქცა ქართველ ყმათათვის.

ქალბატონ ლამარა იანვარაშვილის ამოუწურავ ღვაწლსა და ამაგზე ხშირად წერენ და ბევრს, მაგრამ მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ყოველთვის რჩება რაღაც გამოსარჩევი და საქვეყნოდ გამოსატანი. აღნიშნული თვალსაზრისით ჩემი თანაქალაქელების ხსოვნაში მინდა გავაცოცხლო ქალბატონი ლამარას მიერ 2001 წლის 1 ივლისს თელავის თეატრის ხალხით გადაჭედილ უზარმაზარ დარბაზში მოწყობილი მეტად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი საღამო —„21-ე საუკუნის მანდილოსანი".

საღამოს ჩანაფიქრი, ორგანიზება და ყველა სახის თადარიგი ქალბატონ ლამარას ეკუთვნოდა; მანვე შეადგინა სია, რომელშიც ამაგიანი, ღვაწლმოსილი და ყოველმხრივ გამორჩეული ქალბატონები იყვნენ დასახელებული.

მე საღამოს ძირითადი მომხსენებელი გახლდით და წინასაზეიმო მზადებასა და ღელვა-მოუცლელობაში მხოლოდ სხდომის გახსნამდე სულ რამდენიმე წუთის წინ მოვიფიქრე, რომ საუკუნის ღირსეული თელაველი ქალბატონების სიას ჭეშმარიტად დაამშვენებდა თვითონ ქალბატონი ლამარას სახელი. ... მაგრამ, როცა სიჩქარისაგან სუნთქვაკრულმა როგორც იქნა მოვნახე ისევ საორგანიზაციო საქმეებით დაკავებული ლამარა და დროის დეფიციტის გამო მოკლედ გამოვუცხადე:

საუკუნის ქალბატონებში უნდა გამოგაცხადოთ!

ამას არ გააკეთებთ! — ისეთი კატეგორიული ტონით მითხრა, აზრი აღარ ჰქონდა სიტყვის გაგრძელებას. ვიცოდი მისი შეუვალი ხასიათის ამბავი, ნაჩქარევად მივატოვე და სცენას მივაშურე.

მას შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა, ლამარას თავისი მიზანმიმართულად არჩეული გზიდან არ გადაუხვევია: ნაყოფიერად მუშაობს ბოლოხანებში მის მიერ დაფუძნებული თელაველ მხცოვან ინტელექტუალთა საკრებულოცა და სულ ნახევარი წლის წინ მის მიერვე ორგანიზებული შუამთის ეროვნული სამმო-სამეგობრო.





საგულისხმოა, რომ ქალბატონ ლამარას ზრუნვა ცხოვრებაშიც თან მიჰყვება მის ხელში სწავლა-აღზრდა გამოვლილებს, რადგან ისაა სწორედ,, მასწავლებელი თვითონ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი".

და საერთოდაც, სხვაზე ზრუნვა ქალბატონი ლამარას პიროვნების ძირითადი ნიშნულია. სწორედ ამიტომ უწოდა მას ჟურნალისტმა ოთარ ხუციშვილმა საიუბილეო სტატიაში,, სხვათაბედა ქალბატონი".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს სხვათაბედა ქალბატონს საიუბილეო წელი აქვს. სულითა და გულით ვუსურვებ მას კიდევ დიდხანს ევლოს მხნედ და ხალისიანად სხვებზე და სხვებისათვის ზრუნვის თავისი არჩეული ძალიან რთული, მაგრამ ძალიან საამაყო გზით. ჩვენ კი, მისი თანაქალაქელები, მინდა კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ საზეიმოდ და ახლა, უკვე 20 წლის დაგვიანებით, ამ გამორჩეულ სხვათაბედას ყველამ ერთად ყვავილების ენით მივულოცოთ 21-ე საუკუნის გამორჩეული მანდილოსნის საპატიო წოდება.

**მაყვალა მიქელაძე**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



# ჟურნალი „დილა“ – გუშინ, დღეს, ხვალ... ანუ „ცხოვრება დილიდან იწყება!“



**ბავშვების საყვარელ გამოცემას, შემეცნებით ჟურნალ „დილას“ ნოემბერში 115-ე წლისთავი შეუსრულდა. ამ ლიტერატურულმა გამოცემამ არსებობის გრძელი გზა გამოიარა და მრავალი თაობა აღზარდა.**

**ჟურნალს მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი.**

**„დილის“ დაარსების, მისი ისტორიისა და დღევანდელი პრობლემების შესახებ გვესაუბრება ჟურნალის მთავარი რედაქტორი ᲓᲝᲓᲝ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ, რომელიც, თითქმის ოცი წელია, დედობრივ მზრუნველობას არ აკლებს ამ „მხცოვან“ საბავშვო გამოცემას.**

**— ქალბატონო დოდო, მოდი, ჩვენს მკითხველს შევახსენოთ: როგორ დაიბადა „დილა“... ვის ეკუთვნოდა საბავშვო ჟურნალის შექმნის იდეა? რამდენადაც ვიცი, დაარსებისას ჟურნალს სხვა სახელი ერქვა და წლების განმავლობაში კიდევ რანდენჯერმე შეეცვალა სახელი...**

— საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას აქეთ, რაც დღის სინათლე იხილა საყმაწვილო ჟურნალმა „ნაკადულმა“, რომელსაც დღეს, ორჯერ გადანათვლის შემდეგ, „დილა“ ჰქვია.

ზუსტად 115 წლის წინათ მაშინდელმა პატარა მკითხველმა მშვენიერი ზღაპრებით, ლექსებით, მოთხრობებით, ნაირ-ნაირი ამბებით, გამოცანებით, სურათებით დამშვენებული საბავშვო ლიტერატურული ჟურნალი მიიღო.

ამ დიდებულ საქმეს საფუძველი ჩაუყარა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ქალბატონმა მარიამ ივანიშვილ-დემურიამ, რომელმაც გამოცემის ირგვლივ შემოიკრიბა მთელი იმდროინდელი ინტელიგენცია — ვისაც წერა, ხატვა და თარგმნა შეეძლო, ყველა გააერთიანა საბავშვო ჟურნალის გარშემო.

გამოცემით აღფრთოვანებული აკაკი წერეთელი გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში წერდა: „მწერლების გარდა, სხვა ასპარეზზეც ქალები გვჯობნიან. ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალს მოღვაწეს კაცთაგანს“.

**— ვინ ეხმარებოდა ჟურნალს ფეხზე დადგომაში?**

— მადლობა უფალს, ამგვარი ადამიანებიც აღმოჩნდნენ. პირველი, ვინც ჟურნალის გამოცემის ხარჯები თავის თავზე აიღო, ქალბატონი ნინო ქობულაშვილი იყო, ხოლო 1906 წლიდან ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა იაკობ ზუბალაშვილმა ახალფეხადგმულ ჟურნალს საკუთარი სახლი და ავეჯი დაუთმო, მაგრამ ბოლშევიკები მოვიდნენ და... რედაქციას ნაჩუქარი სახლი და ქონება ჩამოართვეს, ჟურნალსაც სახელწოდება შეუცვალეს და მას „ოქტომბრელი“ უწოდეს, 1948 წლიდან ჟურნალი „დილა“-ს სახელწოდებით გამოდის.

**— ვინ იყვნენ ჟურნალის პირველი ავტორები?**

— დასაწყისშივე ჟურნალის ირგვლივ ბევრმა მწერალმა მოიყარა თავი.

ჟურნალის ერთგული და გამორჩეული ავტორები იყვნენ: აკაკი წერეთელი (ჟურნალის ნათლია), იაკობ გოგებაშვილი (ერთ-ერთი დამფუძნებელი), ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევდოშვილი, ალექსანდრე მირიანაშვილი, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები, გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე), იოსებ გრიშაშვილი, დავით თურდოსპირელი (ჩხეიძე), დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია), ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი), მიმქრალი (ლიდია მეგრელიძე), მარიამ გარიყული (რატიანი), განდეგილი (დომენიკა ერისთავი), მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე), ნიკო ლომოური, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი...

ჟურნალს წლებთან ერთად თანდათან ემატებოდა ახალი თაობა.

ალბათ, საბავშვო ლიტერატურის უკეთესი მოამაგეების წარმოდგენა შეუძლებელია!

თავიდანვე ერთი სურვილი ამოძრავებდათ ჟურნალის მესვეურთ: გამოეცათ ფერადილუსტრაციებიანი ჟურნალი, რომლის შინაარსი და „გარეგნობა“ ერთმანეთის შესატყვისი იქნებოდა.

დროთა განმავლობაში თანდათანობით იხვეწებოდა ქართული ფერადი ბეჭდვითი მხატვრობა და ჟურნალის ფურცლები ფერადოვნებას იძენდა.

„დილისათვის“ ხატავდნენ: მოსე თოიძე, სოსო გაბაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ნათელა იანქოშვილი, გრიგოლ ჩირინაშვილი, ზურაბ მეძმარიაშვილი, ანდრო კანდელაკი, ჯემალ ლოლუა, შალვა ცხადაძე, თენგიზ მირზაშვილი, ირაკლი ფარჯიანი, უჩა ჯაფარიძე, თენგიზ სამსონაძე, გიორგი როინიშვილი და... ჭირს, ძალიან ჭირს ამ მცირე ინტერვიუში ყველა იმ სახელოვანი თუ ნაკლებად ცნობილი შემოქმედის მოხსენიება, რომლებმაც ფასდაუდებელი შრომა გასწიეს „დილის“ მკითხველის გემოვნების დასახვეწად.

**— ამ ას თხუთმეტი წლის განმავლობაში ჟურნალს ბევრი რედაქტორი ჰყავდა. იქნებ, თქვენი წინამორბედებიც გაგვეხსენებინა.**

— ჟურნალს ყოველთვის სახელოვანი და გამორჩეული რედაქტორები ხელმძღვანელობდნენ. მარტო მათი გვარ-სახელებიც კი ბევრისმთქმელი იქნება: მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, ბაბო ჭაჭიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიჟარაძე, რევაზ ინანიშვილი, თენგიზ ჩალაური.




**— რას იტყვით დღევანდელ საბავშვო მწერლობაზე?**

— მინდა გითხრათ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჟურნალს საკმაოდ ბევრი ნიჭიერი მწერალი შემოემატა. „დილა“ ასევე ტრადიციულად, ყოველ წელს აცხადებს კონკურსს „ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში“, რაც საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ ახალი ავტორები და კიდევ უფრო გავამდიდროთ საბავშვო მწერლობა.

**— დღეს ცდილობენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. ამ კუთხით თუ მუშაობთ და რა გეგმები გაქვთ?**

— მართალი ბრძანდებით. უყურადღებოდ არ უნდა დარჩნენ ეს ბავშვები, მაგრამ ეს საყვედური ჩვენს რედაქციას არ ეკუთვნის. უკვე მრავალი წელია, მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს როგორც მზრუნველობას მოკლებულ, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლებთან და სკოლებთან. ოღონდ ერთიც არის — იქიდან მობრუნებულები ჩვენ თვითონ ვართ მისახედები...



ამ ბავშვთა ნამუშევრებისთვის რედაქციას არაერთხელ დაუთმია ჟურნალის გვერდები, რადგან კარგად გვესმის, ამით „დილას“ შეუძლია ისინი მათ თანატოლებთან დააახლოოს, დაეხმაროს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

ჩვენი მხრივ, ერთი თხოვნა გვექნება საქართველოს განათლების სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან: გამოუწერონ მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სასწავლო დაწესებულებებს ჟურნალი „დილა“, რადგან შეუძლებელია, დაგავიწყდეს მათი ემოციები, მათთან სტუმრობის დროს საჩუქრად მიტანილ ჟურნალებს რომ გამოუწვევია.

**— ჟურნალს მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი. რაიმე პრივილეგიას თუ ითვალისწინებს ეს სტატუსი?**

— რა თქმა უნდა, ითვალისწინებს და გაგვიხარდა კიდევაც, როდესაც ეს სტატუსი მოგვანიჭეს, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა — კულტურის სამინისტრომ დაფინანსებაზე უარი გვითხრა. ჩვენც არ დავიბენით და შევაწუხეთ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ერთი შეკითხვით: უცხოეთში თუ ასეთ ძეგლებს დახმარებას უწევენ, ჩვენ რაღა დავაშავეთო... მან კი კულტურის სამინისტროს მიმართა, სამინისტრომ კვლავ უარი გვითხრა. „დილის“ თანამშრომლებს ფარ-ხმალი მაინც არ დაგვიყრია და ჩვენი გასაჭირი პრემიერ-მინისტრს მივაწვდინეთ!

თქვენ წარმოიდგინეთ, პასუხიც დაგვიბრუნდა მთავრობის კანცელარიიდან, ოღონდ არა ჩვენს სატკივარზე, არამედ... დაგვიდასტურეს წერილის მიღების ფაქტი. იმავე დღეს ასეთი პასუხი კანცელარიიდან ორჯერ მოგვივიდა — სამივე შეტყობინებაში მიღების ფაქტს გვიდასტურებდნენ!

ძვირფასო ბელა! ეტყობა, ამ მთავრობას „ახალი წესი“ აქვს — პასუხი სამჯერ თუ არ მიიღე, ერთი ნამდვილ პასუხად არ ითვლება.

**— როგორც გაირკვა, სახელმწიფომ უარი თქვა ჟურნალის დაფინანსებაზე. რა გეგმები გაქვთ და როგორ ახერხებთ დღეს ჟურნალის გამოცემას?**

— მხოლოდ კეთილი ადამიანებისა და ჩემი ახლობლების მხარდაჭერით მოვედით აქამდე. ბოლო სამი წელიწადია, კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურსს და ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას, ვიმარჯვებდით კიდევაც, წელს კი სრულ გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ — საბავშვო გამოცემისთვის გამოყოფილი თანხა შუაზე გაიყო.

ჟურნალი, ძირითადად, ხელმომწერების ხარჯზე ცოცხლობს. ბოლო წლებში ხელმომწერთა რიცხვი გაიზარდა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

**ᲑᲔᲚᲐ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ**
568 90 81 22


საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983